მასწავლებლის წიგნი

თინათინ კუხიანიძე
მარინა ბედოშვილი
ნინო გორდელაძე
თეონა ბექიშვილი

# ქართული 3

## ენა და ლიტერატურა



სულაკაურის გამომცემლობა

**ქართული ენა და ლიტერატურა 3**
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **თინათინ კუხიანიძე, მარინა ბედოშვილი, ნინო გორდელაძე, თეონა ბექიშვილი**
რედაქტორი **თეონა ბექიშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **სოფო ტარყაშვილი**

პირველი გამოცემა, 2024
© სულაკაურის გამომცემლობა, 2024
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

**Georgian 3**
Teacher's book

© Sulakauri Publishing, 2024
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი

**შესავალი** 5

**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები** (12 ივნისი, 2024 წ) 6

**მოსწავლის სახელმძღვანელოს სარჩევი** 8

**როგორ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები მოსწავლის კომპონენტებში** 14

**სტრუქტურული ერთეულების განხილვა** 36

**1.** თავის გახსნა (შიდა ერთეულებად დაყოფის საფუძველი) 36

**2.** კითხვა 37

**3.** მოსმენა 50

**4.** ენა 51

**5.** წერა 53

**6.** თეორია 54

**7.** ლექსიკა 54

**8.** მართლწერა 58

**9.** თამაში 59

**10.** შემოქმედებითი დავალება 60

**11.** თვითშეფასების კითხვარი 61

**დამატებითი რესურსები** 63

**რესურსი 1:** მოსასმენი ტექსტები 63

**რესურსი 2:** ასოების წერა ახალ ბადეზე 76

**რესურსი 3:** დამატებითი საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო ჩამონათვალი 79

**რესურსი 4:** ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები) 80

**რესურსი 5:** თხრობის რუკა 84

**რესურსი 6:** ვენის დიაგრამა 85

# შესავალი

**ძვირფასო მასწავლებლებო,**

თქვენ წინაშეა მესამე კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული კურსი. მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გვქონდა, ჩვენ მიერ შედგენილი მასალა შეგვემოწმებინა საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. ამიტომ თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საგნის ნებისმიერ მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ეს წიგნი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ავტორებისა და პედაგოგების საერთო მიზანია, შევაყვაროთ მოსწავლეებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი ენისა და ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილენი და მივცეთ ინიციატივის გამოვლენის საშუალება. ჩვენ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები, საინტერესო მასალა, რომელიც გაუზრდის ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი; **განსაკუთრებულსა და დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს**. ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ურთიერთობის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

ჩვენ ასევე კარგად გვესმის, რომ დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება, იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა თუ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, მესამე კლასის მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით (ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ); ყურადღება გაამახვილებინოს ტოლერანტობაზე, კაცთმოყვარეობაზე, საკუთარი მოვალეობების შეგნებასა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ასევე შევეცადეთ თქვენთვის გზამკვლევი მოგვემზადებინა. დავიწყოთ მოსწავლის წიგნისა და რვეულის გაცნობით.

სახელმძღვანელო შვიდი თავისგან შედგება.
**ვნახოთ სარჩევი და სტრუქტურული ერთეულების მოკლე მიმოხილვა.**

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

## 12 ივნისი, 2024 წ

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა უზრუნველყოფს პიროვნული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, პატრიოტული, ზოგადსაკაცობრიო, ზნეობრივი და მორალური ღირებულებების მქონე, ღირსეული ცხოვრებისთვის მომზადებული, კონკურენტუნარიანი, თავისუფალი მოქალაქის აღზრდას, რომელსაც გაცნობიერებული ექნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და ვალდებულებების პატივისცემა, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის არსი, მუდმივად ცვალებად გარემოში საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში სათანადო ჩართულობის მნიშვნელობა, მდგრადი განვითარების, მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად მოქმედება.

**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებია:**

**ა.** ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მცოდნე მოქალაქის აღზრდა;

**ბ.** სახელმწიფო ენის, კულტურის, საქართველოს ისტორიის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;

**გ.** ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შემცნობი, უნივერსალური ეთიკური პრინციპების მქონე და დამცველი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი მოქალაქის აღზრდა;

**დ.** მშვიდობიანი, ჰარმონიული და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის ხელშემწყობი მოქალაქის აღზრდა;

**ე.** დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მცოდნე და დამცველი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს პატრიოტიზმთან, სახელმწიფოებრიობასა და საკაცობრიო იდეალებთან;

**ვ.** ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა, რომელიც არა მხოლოდ იცნობს და აღიარებს სხვათა მიღწევებს, არამედ თავადაც ქმნის ახალ ინტელექტუალურ თუ მატერიალურ ღირებულებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ;

**ზ.** დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, გაცნობიერებული პერსონალური გადაწყვეტილებების მიმღები, მოაზროვნე, მაძიებელი, შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის მქონე, მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტად განმავითარებელი, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი, შრომისმოყვარე მოქალაქის აღზრდა;

**თ.** ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობით კომუნიკაციის მაღალი კულტურის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება;

**ი.** თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში „ციფრული მოქალაქეობის“ უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება;

**კ.** გარემოსდაცვითი ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეუძლია კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეებზე სათანადო რეაგირება და მოქმედება დაუკავშიროს პიროვნული, ეროვნული, რეგიონული და გლობალური განვითარების მიზნებს.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უმაღლესი ინტერესების შესაბამისად, სკოლის მიმართ წაყენებული უმთავრესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაკვეთაა, რომ მან შექმნას ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებაზე, პიროვნულ განვითარებაზე, სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე, ოჯახის ინსტიტუციის პატივისცემაზე, საერთაშორისოდ აღიარებულ, უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე, ინკლუზიაზე, კეთილგანწყობაზე, მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობასა და აქტივობაზე, ხელმისაწვდომობასა და კომუნიკაციის სათანადო კულტურაზე დაფუძნებული და ორიენტირებული გარემო.

საქართველოს კონსტიტუციაზე, აღიარებულ დემოკრატიულ საგანმანათლებლო-პედაგოგიკურ პრინციპებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით იქმნება ყველა ის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისთვის დასახული მიზნების მიღწევას.

# მოსწავლის სახელმძღვანელოს სარჩევი


| | კითხვა | მოსმენა | ენა | წერა |
|---|---|---|---|---|
| თავი 1 **ოცნებები, ოცნებები...** 9 | **ზაფხული** 10<br>**გოგონა და ოქროს თევზი** 15<br>გოგონა და ოქროს თევზი (2)... 18<br>გოგონა და ოქროს თევზი (4)... 25<br>გოგონა და ოქროს თევზი ...(5) 28<br>**ირიუსოპი** 32<br>ირიუსოპი (2)... 35<br>ირიუსოპი ...(3) 38<br>**პატარა ბიჭების ფიქრები** 42<br>პატარა ბიჭების ფიქრები (2)... 44<br>პატარა ბიჭების ფიქრები (3)... 46<br>პატარა ბიჭების ფიქრები (4)... 49<br>**პატარა ქალის ნატვრა** 51 | **გოგონა და ოქროს თევზი**<br>გოგონა და ოქროს თევზი (3)... 23<br>**ინტერვიუ ორ საბავშვო მწერალთან** 52 | **სასვენი ნიშნები** 21<br>**როგორ ჩავწეროთ საუბარი** 48 | |
| თავი 2 **რატომ გვიყვარს თამაში?** 57 | **მზე და მთვარე** 58<br>**მატარებლობანა** 60<br>მატარებლობანა (2)... 63<br>**მთელ დღეებს თამაშში ვატარებთ** 67<br>მთელ დღეებს თამაშში ვატარებთ (2)... 71<br>**მილი-მოლი-მენდი**<br>მილი-მოლი-მენდი შეჯიბრებაში მონაწილეობს (2)...78 | **ნაწყვეტი ფილმიდან „ფეოლა“** 81 | **კიდევ რა სასვენი ნიშნები შეიძლება შეგხვდეს?** 65 | **განცხადება** 80<br>**ბუკლეტი** 84 |
| თავი 3 **ოჯახი** 89 | **ერთგული პატარა ქალი** 90<br>**როცა ემილი თავით საწვნეში გაეჩხირა** 95<br>**ლოტა თხასავით ჯიუტია** 101<br>**წვეთების სიმღერა** 106<br>წვეთების სიმღერა (2)... 108<br>წვეთების სიმღერა ...(3) 110<br>**პეპი წერილს იღებს**<br>წერილი 115<br>**რეცეპტები პეპი გრძელწინდასაგან** 118 | **როცა ემილი თავით საწვნეში გაეჩხირა**<br>როცა ემილი თავით საწვნეში გაეჩხირა (2)... 99<br>**პეპი წერილს იღებს** 115 | **როგორი?** 92<br>**სად? როდის? როგორ?** 93 | **დასასრული** 100 |

| თეორია | ლექსიკა | მართლწერა | თამაში | შემოქმედებითი დავალება |
|---|---|---|---|---|
| ლექსი 12<br>ჩანახატი 50 | | სახელით მიმართვა 54 | დახატე მეგობრის ზაფხული 13 | პერსონაჟის სკამი 31<br>პერსონაჟის დახასიათება 41<br>ჩაწერე ინტერვიუ 55<br>თვითშეფასების კითხვარი<br>შემიძლია თუ არა გუნდში მუშაობა 56 |
| ავტორი, მთხრობელი 74 | ერთი და ბევრი სხვადასხვა სიტყვით 86 | | მილი-მოლი-მენდი შეჯიბრებაში მონაწილეობს 76<br>შეავსე ტესტი 82 | ითამაშე „მსახიობობანა“ 66<br>თხრობა მთხრობელის შეცვლით 75<br>საინფორმაციო ბროშურა საყვარელ თამაშზე 87<br>თვითშეფასების კითხვარი<br>ვარ თუ არა მოწესრიგებული 88 |
| შედარება 105<br>თხრობითი ტექსტის გეგმა 113 | | მარცვალი და სიტყვის გადატანა 117<br>მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა და ასო ჰ 120 | | მოთხრობის გავრცობა 94<br>გაცოცხლებული ეპიზოდები 114<br>რეცეპტი ოჯახის სამზარეულოდან 121<br>თვითშეფასების კითხვარი<br>მე ვმართავ ჩემს ემოციებს 122 |

| | კითხვა | მოსმენა | ენა | წერა |
|---|---|---|---|---|
| 4 თავი<br>**რა გვაბედნიერებს?**<br>123 | ზამთრის მოლოდინში 124<br>წიქარა 127<br>შობას მშვენივრად ვერთობით 135<br>შობას მშვენივრად ვერთობით (3)... 141<br>ბუ ბუბუსას დღიური 146<br>ბუ ბუბუსას დღიური (2)... 151<br>ნაძვის ცრემლები 155<br>ნაძვის ხე 160<br>მაკნატუნა და თაგვების მეფე 164<br>მაკნატუნა – საშობაო ზღაპარი კომიქსად 166 | წიქარა<br>წიქარა (2)... 132<br>შობას მშვენივრად ვერთობით<br>მია-მარიას, იუნასის და ლოტას საშობაო ამბები (1)... 135<br>შობას მშვენივრად ვერთობით (2)... 139 | თავაზიანი მიმართვის ფორმები 137 | ზამთრის სურათი 126 |
| 5 თავი<br>**სწავლა**<br>175 | კითხვები და პასუხები 176<br>სკოლები ადრე, ახლა და მომავალში 178<br>ყინვა და პატარა მოწაფე (1)...<br>ყინვა და პატარა მოწაფე ...(2) 186<br>ბულერბიელი ბავშვები 189<br>ძვირფასი ყუთი 196<br>დამრიგებელი 200 | განათლების ქოხი (რეპორტაჟი) 182<br>ყინვა და პატარა მოწაფე (3) 185<br>ნაწყვეტი ფილმიდან „ყინვა და პატარა მოწაფე“ 188 | ადრე, ახლა, მომავალში 180 | |
| 6 თავი<br>**ბუნება და ადამიანი**<br>207 | გამთბარი ატმოსფერო 208<br>ტყეებს ნუ კაფავ 211<br>ჭკვიანი ბასარა 216<br>გაბრაზდა კაქტუსი რებეცა 221<br>სად წავიდნენ ლუკა და თეკლა? 226<br>ჩხიკვთა ქორწილი 233<br>ჩხიკვთა ქორწილი (3)... 239<br>ჩხიკვთა ქორწილი ...(4) 242 | ჩხიკვთა ქორწილი<br>ჩხიკვთა ქორწილი (2)... 236 | სიტყვის სხვადასხვა ფორმა 231<br>ერთზე მეტის გამოხატვა სხვადასხვა ფორმით 241 | აღწერე ბუნების სურათი და დაურთე ლექსიკონი 215<br>გახდი პიესის ავტორი 238 |

| თეორია | ლექსიკა | მართლწერა | თამაში | შემოქმედებითი დავალება |
| --- | --- | --- | --- | --- |
| ზღაპარი 134 | ბარბარიზმები 171 | როგორ ჩავწეროთ რიცხვები? 150 | | მოსაწვევი წერილები მეგობარსა და მის მშობლებს 145<br>ჩემი საშობაო-საახალწლო დღიური 154<br>კომიქსის შექმნა 172<br>თვითშეფასების კითხვარი მე ვმართავ დროს 174 |
| რეპორტაჟი 183<br>როგორ იქმნება რეკლამა? 198 | | რა გვესმის და რა იწერება 197 | შეკითხვები, შეკითხვები 195 | შენი თვალსაზრისი 184<br>დაასაბუთე მოსაზრება 194<br>ჩემი მიზანი 205<br>თვითშეფასების კითხვარი ვცდილობ, კარგად ვისწავლო 206 |
| ლექსიკონი – სიტყვების დალაგება ანბანის მიხედვით 213<br>გასულიერება, გაპიროვნება 244 | სიტყვების წარმოება 237 | | სიტყვობანა 225 | ჩემი წინადადება 220<br>ბუნების კეთილ არსებებს ბედნიერება მოაქვთ! 245<br>თვითშეფასების კითხვარი ჩემს შეგრძნებებს ვიყენებ სწავლაში 246 |

7 თავი
სამშობლო 247

| კითხვა | მოსმენა | ენა | წერა |
|---|---|---|---|
| საქართველო და მისი ნაწილები 250<br>რუკის წაკითხვა 252<br>მრავალფეროვნება 255<br>ჩონგური 258<br>ამპარტავანი ნოტი სი 261<br>პატარა ბედუინის სიზმარი 268 | საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი „თავისუფლება“ 248<br>ამპარტავანი ნოტი სი<br>ამპარტავანი ნოტი სი (2)... 265 | როგორი? ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმა 257<br>სიტყვის ჩანაცვლება 270 | |


## რომელი ავტორების ნაწარმოებებია ამ წიგნში?


მაყვალა მრევლიშვილი


გურამ პეტრიაშვილი


ლელა ცუცქირიძე


რევაზ ინანიშვილი


გივი ჭიჭინაძე


ასტრიდ ლინდგრენი


ჯოის ლანკასტერ ბრისლი


იაკობ გოგებაშვილი


მიხეილ ქვლივიძე

| თეორია | ლექსიკა | მართლწერა | თამაში | შემოქმედებითი დავალება |
|---|---|---|---|---|
| | ორი სიტყვის შეერთება 267 | რომელი შედგენილი სიტყვები იწერება დეფისით? 260 | ძალა ერთობაშია 271 | შექმენი პოსტერი – ჩემი სამშობლო 273<br>თვითშეფასების კითხვარი<br>წარმოაჩინე შენი უნარები 274 |



იროდიონ ევდოშვილი



ნიკო ლომოური



თეა ლობჟანიძე



ვაჟა-ფშაველა



აკაკი წერეთელი



ედიშერ ყიფიანი



დავით ჯავახიშვილი

* **მოსწავლის წიგნი და რვეული სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.** აქტივობები კი ისეა შედგენილი, რომ **მასწავლებელს არ დასჭირდება ზრუნვა დამატებითი სასწავლო რესურსების შექმნაზე.** შევეცადეთ, მაქსიმალურად შეგვემსუბუქებინა პედაგოგების სამუშაო ამ მიმართულებით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ გამოიყენონ თავიანთი უნიკალური გამოცდილება სასწავლო პროცესში.

# როგორ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები მოსწავლის კომპონენტებში

ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი თითოეული სტრუქტურული ერთეული მოსწავლის წიგნსა და რვეულში.

## 1. თავის გახსნა

თემის ილუსტრაცია, რომელზეც მასწავლებელი სვამს შეკითხვებს და მოსწავლეები საუბრობენ.







წინასწარი შეკითხვები თემის შესავლისთვის.



კითხვა

თავი 2. გართობა, შეჯიბრი, სპორტი

2

1. აღწერე სურათი ისე, რომ პასუხი გასცე ყველა ქვემოთ მოცემულ კითხვას.

ა. შენი აზრით, სად მდებარეობს ეს ეზო?

ბ. როგორი ამინდია? წლის რა დროა? დღის რა მონაკვეთია, სასწავლო დღეა თუ დასვენების? რატომ ფიქრობ ასე?

გ. ივარაუდე, რა აწუხებს ბებიას.

დ. უმცროსი და უფროსი ბავშვები, ბიჭები და გოგონები ერთნაირად ...რთობიან? ვის რა ურჩევნია?

...მი გოგონა რას თამაშობს ცარცით და...ტულ უჯრებზე?

...ნი ადგილი სად იქნება ამ სურათზე, რომ...ლ გუნდთან უფრო ...ერთობოდი? რატომ?

...ლ ბოლოს დაწერე, ჰგავს თუ არა შენი ეზო ...ურათში აღწერილს. ...იმელი უფრო მოგწონს? რატომ?

51



კითხვა

თავი 6. ბუნება და ადამიანი

6

1. ჩვენ ვტკბებით ბუნების სილამაზით, სუფთა ჰაერით. ვაწყობთ ლაშქრობებს და ექსკურსიებს, ვიღებთ ფოტოებს, ვაკვირდებით ცას, მთებს, ხეებს, ყვავილებს, ფრინველებსა და სხვა არსებებს... დაწერე, შენ როგორ ატარებ დროს ბუნებაში:

177

დავალებების სირთულე წიგნის დასაწყისსა და წიგნის ბოლოში.

## 2. კითხვა

წიგნში თავმოყრილია ქართული და თარგმნილი საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის შედევრები: **მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი, ლექსი, კომიქსი, პიესა, ენციკლოპედიური ტექსტი თუ სხვა.** აქვეა ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი **ინსტრუქციები, რჩევები და რეცეპტები.** ტექსტები სტანდარტის სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. ტექსტებს ახლავს ლექსიკონი და გაფორმებულია შთამბეჭდავი ილუსტრაციებით.

სავარჯიშოების ნაწილში კი მოცემულია როგორც ტექსტის გააზრებასთან, ასევე საკუთარ გამოცდილებასთან დასაკავშირებელი აქტივობები.



# შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



კითხვა

4

## კომიქსი

**1.** ჩამოთვალე ამ კომიქსის პერსონაჟები:

**2.** დაალაგე ეს ამბავი სწორი თანმიმდევრობით! გაიხსენე, რა რის შემდეგ მოხდა:

143



4

**8.** როგორ დაახასიათებ ამ პერსონაჟებს?

ბიჭი არის...

**9.** დაწერე, როგორ გადალახა ტახმა დაბრკოლებები:

აზვირთებული ზღვა

გაუვალი ტყე

სიპი კლდე

116



6

**9.** შენ როგორ ზრუნავ მცენარეებზე?

**10.** რა რის შემდეგ მოხდა? დაწერე პიესის გეგმა:

193



7

**5.** ამოიწერე ლექსიდან სიტყვები, რომლებსაც „დელა-დელაო" ერითმება:

ნელა-ნელაო

**6.** რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი?

**7.** იმსჯელე, რატომ არის შეტანილი ლექსი „ჩონგური" სახელმძღვანელოს ამ თავში.

219

## 3. მოსმენა

ამ რუბრიკაში გვხვდება ამა თუ იმ ტექსტის გაგრძელებები, ახალი ამბები, სიმღერა ან საყურებელი მასალა. დავალებების ნაწილში კი მოცემულია მოსმენილის გააზრებისთვის საჭირო არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა.
მოსასმენი და საყურებელი მასალა დატანილია QR კოდის ქვეშ.

* მოსასმენი ტექსტები დანართის სახითაც ახლავს მასწავლებლის წიგნს. საყურებელი მასალა კი ლინკის სახითაც არის ჩასმული.









## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში






5

ვიდეო **ნაწყვეტი ფილმიდან**

1. აღწერე და შეადარე ერთმანეთს ქალაქის თანამედროვე სკოლა და მაღალმთიან რეგიონში მდებარე ადრინდელი პატარა სკოლა. ყურადღება გაამახვილე საკლასო სივრცეზე (მერხებზე, დაფებზე, კედლებზე, გათბობის საშუალებებზე) და კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე. რომელ გარემოში უფრო ადვილია სწავლა?

2. დაწერე შენი აზრი, რატომ უყვება მასწავლებელი მოსწავლეებს თავისი ბავშვობის ამბავს? რისი თქმა უნდა პატარა რომეოს მაგალითით მასწავლებელს ბავშვებისთვის?

161



მოსმენა

6 **ჩხიკვთა ქორწილი (2) ...**

1. სწორად გადაანაწილე წინადადებებში ეს გამოთქმები:
**ლხინი გაჩაღდა • ყველას ყურები გამოუჭედა • მუცლები ხელით ეჭირათ • დაველურს უვლიდნენ**

ა. წრუწუნა ისე მღეროდა, რომ ______.

ბ. ფრინველებმა სუფრული შემოსძახეს და ______.

გ. კაჭკაჭი და წრუწუნა ______ და ამ ცეკვის მნახველ ყვავილებს ______, იმდენს იცინოდნენ.

2. აღნიშნე ✓ სიმბოლოთი ის წინადადებები, რომლებიც ტექსტის შინაარსს შეესაბამება:

| | ✓ |
|---|---|
| თამადად მოძღვარი თომა ამოირჩიეს. | |
| შორიახლოს ერთ თაგუნას ჰქონდა სორო. ხმაურზე გამოიხედა სოროდან გარეთ. | |
| თაგუნამ დიდხანს უცქირა ფრინველთა ლხინს. ბოლოს ისკუპა და პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიან სუფრაზე დასკუპდა. | |
| – ეს ვინ მოვიდა, ახლავე მოუსვი აქედან! – გაისმა ფრინველთა საერთო ხმა. | |
| წრუწუნამ სიმღერა შემოსძახა. ისე მღეროდა, რომ ბულბულსაც კი არ ჩამოუვარდებოდა. | |
| მერე ცეკვაც დაიწყო. ხალხს სიცილით ხოცავდა. მას შოშიაც აჰყვა და დაველურს უვლიდნენ ორივენი. | |
| ყვავილებს მუცლები ხელით ეჭირათ, იმდენს იცინოდნენ ამ სურათის მნახველნი. | |

198



მოსმენა

7 **ამპარტავანი ნოტი სი ...(2)**

1. აღნიშნე ✓ სიმბოლოთი ის წინადადებები, რომლებიც ტექსტის შინაარსს შეესაბამება

| | ✓ |
|---|---|
| ნოტი სი ისე მოხერხებულად შეძვრა თვალისმომჭრელად მბზინავ ვალტორნის ღრუში და ისე ეშმაკურად მიიმალა კუთხეში, რომ ვალტორნის ნოტებმა ვერაფერი შეამჩნიეს. | |
| ფარდა გაიხსნა. მაყურებლები ტაშით შეეგებნენ მწყემს ბიჭს. მან ჯოხი აიქნია და კონცერტიც დაიწყო. | |
| უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, ვალტორნამ ისეთი წრიპინა ხმა ამოუშვა, რომ მაყურებლები ახარხარდნენ და დარბაზი გუგუნმა გააყრუა. | |
| კონცერტი განახლდა, გაისმა ფლეიტის ხმა, მაყურებელი სულგანაბული ისმენდა საამო შეხმატკბილებულ ჰანგებს. | |
| ორკესტრის შემდეგ მწყემსი ბიჭის ჯერი დადგა. სულ არ ღელავდა. მისი სალამური მშვენიერ ხმებს გამოსცემდა. | |

2. რა წარმოიდგინა მწყემსმა ბიჭმა დაკვრის დროს?

3. განმარტე, რატომ ფიქრობს მწერალი: „ყოველი ნოტი მხოლოდ თავის ადგილზეა ლამაზი და ტკბილხმოვანი“.

224

## 4. ენა

ასე ვუწოდეთ გრამატიკის საკითხებს. ამ ნაწილში კარგად ჩანს, რომ აღმოჩენებით სწავლება ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი მეთოდია. უკვე შესწავლილი ნაწარმოების ეპიზოდებზე დაკვირვებით და კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები აღმოაჩენენ იმ კანონზომიერებებს, რომლებიც შემდეგ წერილობით ჩამოყალიბებულია რუბრიკაში: „მე ვისწავლე“.


ენა
სასვენი ნიშნები

1 შენი აზრით, რატომ გვჭირდება სასვენი ნიშნები? შეეცადე, წაიკითხო ეს ტექსტი:

- რა დასკვნა გამოიტანე?

2 ტექსტის მეორე ნაწილში იპოვე და წაიკითხე ორი თხრობითი წინადადება.
- რა სასვენი ნიშანი იწერება თხრობითი წინადადების ბოლოს?

3 ამავე ნაწყვეტიდან სწორი ინტონაციით ამოიკითხე წინადადება, რომელშიც შეკითხვაა დასმული.
ა. რომელი სასვენი ნიშნით იპოვე ეს წინადადება?
ბ. რა ეწოდება ასეთ წინადადებას?

4 ტექსტში იპოვე წინადადება, რომელშიც ძახილის ნიშანია დასმული და წაიკითხე შესაბამისი ინტონაციით.
ა. ახლა ეს წინადადება წაიკითხე ისე, თითქოს ბოლოში დასმულია წერტილი.
ბ. რა შენიშნე?

მე ვისწავლე
• როდესაც წინადადება გამოხატავს წუხილს, მოწოდებას, ასეთი წინადადების ბოლოს იწერება ძახილის ნიშანი და მას ძახილის წინადადება ჰქვია.

21


4
დააკვირდი:
ზოგჯერ თავაზიან ფორმაში ერთ სიტყვას მეორე ენაცვლება



4 როდის შეგიძლია, უფროს ადამიანს მიმართო „შენობით“? აირჩიე პასუხი:
ა. თუ ის ახლობელია.
ბ. თუ ამაზე წინასწარ ხართ შეთანხმებული.
გ. თუ შენი მასწავლებელია.
– შენ თუ იცავ ამ წესებს?

140


ენა
როგორი?
3

1 მოთხრობაში „ერთგული პატარა ქალი“ მოძებნე და ამოიკითხე ყველა სიტყვა, რომელიც უპასუხებს კითხვას „როგორი?“
– ვის ან რას ახასიათებს ეს სიტყვები?

2 ამ მოთხრობის მიხედვით, როგორია მარო?



3 ამ ოთხი სიტყვიდან აირჩიე ერთ-ერთი და სწორი ფორმით ჩაამატე გოგებაშვილისეულ წინადადებაში:

______ მარომ ეს რომ შენიშნა, უთხრა – დედიკო, ეგ მწარე წამალი მე მომეცი, შენ მაგიერად მე დავლევო.

– ხმამაღლა წაიკითხე, რა გამოვა;

4 ახლა სხვა სიტყვებიც ჩაამატე რიგრიგობით და ისე წაიკითხე.
– უფრო ვრცელია წინადადება თუ უფრო მოკლე?

5 ამ ნაწარმოებში ჩანს, როგორია დედა?
– წარმოიდგინე, როგორი გინდა რომ იყოს მაროს დედა და მოიფიქრე შესაბამისი სიტყვები.

6 წამალი მწარეა. კიდევ როგორი შეიძლება იყოს წამალი?



92


კითხვა
ადრე, ახლა, მომავალში
5

დააკვირდი სქემას და ამოიკითხე, რა ხდებოდა **ადრე**, რა ხდება **ახლა** და რა მოხდება **მერე (მომავალში)**?



1. შეეცადე და ზეპირად შეავსე სქემა ამ წინადადებებისთვის:

ა.

| ადრე | ახლა | მომავალში |
| --- | --- | --- |
| ბიჭები საბრძოლო ხელოვნებას სწავლობდნენ. | ბიჭები საბრძოლო ხელოვნებას ... | ბიჭები საბრძოლო ხელოვნებას ... |

ბ.

| ადრე | ახლა | მომავალში |
| --- | --- | --- |
| ბავშვები სკოლაში წერდნენ. | ბავშვები სკოლაში ... | ბავშვები სკოლაში ... |

– რომელი სიტყვის შეცვლა დაგვჭირდა სქემის შესავსებად?

182

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში

* რასაკვირველია, წიგნსა და რვეულში არ ვახსენებთ გრამატიკულ ტერმინებს.



ენა **სასვენი ნიშნები**

1

1. წაიკითხე ტექსტი და დასვი გამოტოვებული სასვენი ნიშნები: . ? !

გოგონა ისევ იმაზე წუხდა, თევზს არაფერი მოუვიდესო ☐
– ნუ გეშინია – ამშვიდებდა მამა ☐ სხვა მგზავრების გასაოცრად, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, დარაჯობდა აკვარიუმს.
დედასაც გაუხარდა, აკვარიუმში მხიარულად მოცურავე ოქროს თევზი რომ ნახა ☐
– სად წავიყვანო? – ფიქრობდა გოგონა ☐ მერე ოთახის ერთ კუთხეში პატარა მაგიდას ლამაზი სუფრა გადააფარა და იქ მიუჩინა აკვარიუმს ადგილი ☐

2. მოიფიქრე და დაწერე ორი კითხვითი წინადადება:

ა.

ბ.

3. დაწერე, რა არის შენი ოცნება; გამოიყენე ძახილის წინადადება. შეგიძლია, წინადადება დაიწყო ასე: მსურს, ვოცნებობ, ნეტავი...

4. დაასრულე წინადადებები:

**მე ვისწავლე**

ა. ძახილის ნიშანი იწერება წინადადებებთან, რომელიც გამოხატავს...

ბ. მრავალწერტილის გამოყენება

21



ენა **თავაზიანი მიმართვის ფორმები**

4

1. ხაზი გაუსვი იმ წინადადებებს, რომლებშიც გამოყენებულია თავაზიანი მიმართვა:

ა. გოგონებო, აქ დასხედით!

ბ. თამარ, თუ შეიძლება, აქ დაბრძანდით!

გ. ნოდარ და ქეთი, როდის ჩამოხვალთ?

დ. ნინო, თქვენც ჩამოხვალთ?

2. მითითებების მიხედვით მიმართე: **მეგობარს** • **უფროსს**:

გინდა, რომ სახლში შეიპატიჟო.

ა.

ბ.

გინდა, რომ საჭმელი შესთავაზო.

ა.

ბ.

გინდა, რომ მოიკითხო.

ა.

ბ.

გინდა, დახმარება შესთავაზო.

ა.

ბ.

122



ენა **როგორი?**

3

1. დაწერე, როგორი შეიძლება იყოს:

ბურთი

მთვარე

სარკე

*შეგიძლია, დაიხმარო სიტყვები: მრგვალი, ოვალური, გაბერილი, დაჩუტული, ნამგალა, ჩამქრალი, სავსე, მაგარი, რბილი, გაწმენდილი, ჭუჭყიანი, მბრწყინავი...

2. დააკვირდი სარკეს, მთვარეს ან ბურთს ხომ არ შეუსაბამე ერთი და იგივე სიტყვები? თუ კი ასეა, სიტყვები მონიშნე ერთი ფერის ფანქრით.

80



ენა **ადრე, ახლა, მომავალში**

5

1. ხაზგასმულ სიტყვებს შეუსაბამე და თავზე დააწერე ახლა ან ადრე:

ბიჭი დავალებას წერს. გუშინ მან მთელი დღე ითამაშა და არ იმეცადინა. სამაგიეროდ, ამჯერად ბეჯითად ასრულებს თითოეულ სავარჯიშოს.

2. წაიკითხე მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და მიუწერე შეკითხვები: **ადრე რა ქნა?** • **ახლა რას შვრება?** • **მერე რას იზამს?**

ნიმუში: კითხულობს – რას შვრება?

დაამტვრია | გაბრაზდა
გააკეთებს | ბრაზობს
მოვა | ილაპარაკებს
ილანძღება | უყურა

3. ქვემოთ მოყვანილი ზმნები ჩაწერე შესაბამის სვეტში: **იპოვა** • **ადგა** • **მივა** • **მიაქვს** • **უთხრა** • **ეტყვის** • **შეიყვანა** • **დაასაჩუქრებს** • **პპირდება** • **გაიცინა** • **უწყალობა** • **აჯილდოებს** • **გაიქცევა** • **დაიჭირა** • **შენიშნა.**

| ადრე | ახლა | მომავალში |
| --- | --- | --- |
| | | |

155

# 5. წერა

სტანდარტით გათვალისწინებული წერის მოდელები მოცემულია მოსწავლის წიგნში. ამ მოდელის მიხედვით დავალების შესრულება კი მოსწავლის რვეულშია გათვალისწინებული.



2

წერა **განცხადება**

განცხადება

mail@gmail.com

1 ვინ არის განცხადების შემდგენელი?

2 რა უნდა გააკეთონ შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა?

3 ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

4 განცხადებაში მითითებულია თუ არა ვადება?

5 როგორ უნდა მოიქცე, თუ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გაქვს?

6 შენი სიტყვებით გადმოეცი განცხადების შინაარსი.

**გადაშალე მოსწავლის რვეული და შეადგინე განცხადების ტექსტი.**

80



4

წერა **ზამთრის სურათი**

მიხეილ ქვლივიძემ ზამთარი პოეტურად აღწერა. შენ კი ზამთრის სურათზე პატარა **თხზულება** უნდა დაწერო. მიჰყევი ქვემოთ მოცემული მინიშნებებს და ჩაიხედე სიტყვების ყუთში.

**სიტყვების ყუთი**

**შინაარსი**

- როგორია ზამთარი?
- რა ხდება ამ დროს გარეთ? სახლში?
- რისი სუნი ტრიალებს?
- შენ როგორი განწყობა გაქვს? სხვებს?
- რას იტყვი ცხოველებსა და მცენარეებზე?
- შენთვის რომელი მუსიკა ან სიმღერა გახსენებს ზამთარს?

★ შეგიძლია, ეს მინიშნებები თხზულებაში გამოიყენო შენთვის სასურველი თანამიმდევრობით. მთავარია, რომ ჯერ გეგმა შეადგინო – რის შემდეგ რაზე ისაუბრებ.

128



3

წერა **დასასრული**

1 **როგორ დაიწყო, საწენის ამბავი? შენი სიტყვებით მოკლედ გადმოეცი დასაწყისი.**

2 **როგორ გაგრძელდა საწენის ამბავი? შენი სიტყვებით გადმოეცი გაგრძელება, შუა ნაწილი.**

3 **როგორ დასრულდა საწენის ამბავი?**

**როგორი შეიძლება ყოფილიყო დასასრული? დაწერე დასასრული, რა მოხდა ექიმის კაბინეტში. ამისათვის:**

**1.** აირჩიე

აირჩიე, როგორი დასასრული გინდა:

- ჩვეულებრივი
- მოულოდნელი
- სასაცილო

**2.** მოიფიქრე

არჩეულის მიხედვით მოიფიქრე ამბავი და მოკლედ, 2-3 წინადადებით დაწერე ცალკე ფურცელზე.

**3.** განავრცე

წაიკითხე და განავრცე ეს ამბავი და საინტერესო სიტყვებით, შემდეგ გადაიტანე რვეულში.

**4.** წარადგინე

წაიკითხე თანაკლასელების წინაშე. დაემთხვა თქვენი ამბები?

★ ემილის სხვა ამბები შეგიძლია, თავად წიგნში წაიკითხო. იქ კიდევ ბევრი მხიარული თავგადასავალი გელოდება.

100



წერა **აღწერე ბუნების სურათი და დაურთე ლექსიკონი**

**წარმოიდგინე, რომ ამ სანაპიროზე ხარ. დაწერე შენი შთაბეჭდილება:**

რას ხედავ? • რის ხმა გესმის? • შენი აზრით, რომელი სეზონია? ეს კუნძული დასახლებული იქნება? • რომელი ცხოველები იცხოვრობენ ამ კუნძულზე? • რისი სუნი მოდის? • თავს როგორ გრძნობ? • მოგწონს ეს ადგილი? • რის გაკეთებას ისურვებდი აქ?

**დამატებითი ინსტრუქცია**

ა. შეეცადე, გამოიყენო 2-3 ისეთი სიტყვა, რომლებიც, შენი აზრით, უცნობი იქნება შენი მეგობრებისთვის, თუმცა სანაპიროს აღწერაში დაგეხმარება. შეგიძლია, ასეთი სიტყვების მოფიქრებაში დახმარება უფროსებს სთხოვო.

ბ. თხზულებას დაურთე ლექსიკონი, რომელშიც სწორედ ამ სიტყვებს განმარტავ.

215

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში


2

ნერა განცხადება

1. რა შინაარსის შეიძლება იყოს განცხადება? შემოხაზე სწორი პასუხები:

ა. შეიცავდეს თხოვნას.

ბ. წარდგენილი იყოს საჩივარი.

გ. გულისხმობდეს მოწვევას ღონისძიებაზე.

დ. ენეროს შეტყობინება.

2. სწორი პასუხებიდან აირჩიე ერთი და შეადგინე განცხადების ტექსტი: გამოიგონე და ჩაწერე, ვის მიმართავ, გასაგებად აღწერე, რა გსურს. განცხადების ბოლოს მიუწერე შენი სახელი, გვარი და თარიღი.

განცხადება

ხელმოწერა

თარიღი

68


4

ნერა ზამთრის სურათი

1. წიგნში მოცემული მითითებების მიხედვით აღწერე ზამთრის სურათი:

112


3

ნერა დასასრული

1. წიგნში მოცემული მითითებების მიხედვით დაწერე საწვნის ამბის შენეული დასასრული:

87


6

ნერა აღწერე ბუნების სურათი და დაურთე ლექსიკონი

1. აღწერე მოსწავლის წიგნში მოცემული ბუნების სურათი და დაურთე ლექსიკონი.

184

## 6. თეორია

ამ ნაწილშიც კარგად ჩანს აღმოჩენებით სწავლების პრინციპი. უკვე შესწავლილი ნაწარმოების ეპიზოდებზე დაკვირვებითა და კითხვებზე პასუხების გაცემით მოსწავლეები იღებენ ცოდნას, რომელიც შემდეგ მოკლედ ჩამოყალიბებულია რუბრიკაში: „მე ვისწავლე“.



თეორია ლექსიკონი – სიტყვების დალაგება ანბანის მიხედვით

213



თეორია ავტორი, მთხრობელი

74



თეორია თხრობითი ტექსტის გეგმა

113



თეორია რეპორტაჟი

185

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



თეორია

ლექსიკონი - სიტყვების დალაგება ანბანის მიხედვით

6

1. აირჩიე კლასში მეწყვილე. ერთმანეთს უკარნახეთ 4-4 სიტყვა. შენს რვეულში ჯერ ჩამოწერე სიტყვები, რომლებიც მეწყვილემ გიკარნახა, შემდეგ კი დაალაგე ანბანის მიხედვით და მიუწერე განმარტება.

ჩამოწერე სიტყვები:

183



თვითშეფასების კითხვარი

ვარ თუ არა თვითორგანიზებული?

2

1. კარგად შეგიძლია, საკუთარი თავის მართვა? მონიშნე შენი უნარები:

ა. ყოველთვის ვიცი, რა უნდა გავაკეთო.

ბ. როცა რამეს ვიწყებ, აუცილებლად ვასრულებ.

გ. შემიძლია ჩემს შეცდომებზე სწავლა.

დ. შეუპოვარი ვარ და სირთულის არ მეშინია.

ე. შემიძლია საშინაო დავალებების ბოლომდე შესრულება.

ვ. თავს ძალას ვატან, რომ რაც დავგეგმე, შევასრულო.

2. დაწერე, რომელი უნარების შეძენა გსურს და რატომ:

3. წინადადებებს მიუწერე სიტყვები – **შემიძლია** ან **შევძლებ**:

ა. ყოველთვის ყურადღებით ვარ და ვისმენ მითითებებს.

ბ. შემიძლია, სხვადასხვა სიტუაციაში ვაკონტროლო ხმის ტემბრი: ხმამაღლა ვისაუბრო, ხმას დავუწიო, ვიჩურჩულო.

გ. მუშაობას მაშინვე ვიწყებ, როგორც კი მასწავლებელი ინსტრუქციას გაგვაცნობს.

დ. ვინარჩუნებ სიმშვიდეს ნებისმიერ ვითარებაში.

ე. ვარ შეუპოვარი.

ვ. ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რომ ბეჯითად ვიმეცადინო.

74



თეორია

თხრობითი ტექსტის გეგმა

3

1. წიგნში მოცემული მითითებებით დაწერე „წვეთების სიმღერის" გეგმა:

95



თეორია

რეპორტაჟი

5

1. რა გაიგე რეპორტაჟის შესახებ? შეავსე გამოტოვებული ადგილები:

**რეპორტაჟში** ______ მიერ მოთხრობილია ამა თუ იმ ადგილას მომხდარი მნიშვნელოვანი ამბავი, შემთხვევა.

**რეპორტაჟი** შეიძლება ეხებოდეს მხატვართა ნამუშევრების ______, სპორტულ ______, ახალ ______ და , მეცნიერულ ______, სხვადასხვა ______...

**რეპორტაჟში** შეიძლება ჩართული იყოს ______ ამბის მონაწილეებთან.

როგორია რეპორტაჟის ფორმა?

**რეპორტაჟი** შეიძლება იყოს სტატია ან რადიო თუ სატელევიზიო გადაცემა და, ძირითადად, შედგება ჟურნალისტის ______.

**რეპორტაჟში** შეიძლება იყოს ______ (იგივე ინტერვიუ).

157

## 7. ლექსიკა

სიტყვების განმარტების გარდა, მოსწავლის წიგნსა და რვეულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსიკაზე მუშაობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის განმარტებისა თუ კონტექსტში სწორად გამოყენების გარდა, მოსწავლეებმა შეძლონ სიტყვების სტრუქტურაზე დაკვირვება, მათი დაჯგუფება სხვადასხვა თემის მიხედვით, ახალი სიტყვების მოფიქრება, თუ სხვა, ამ ასაკისთვის შესაფერისი, სახალისო აქტივობების შესრულება.


ლექსიკა ერთი და ბევრი სხვადასხვა სიტყვით


ლექსიკა ბარბარიზმები


ლექსიკა სიტყვების წარმოება


ლექსიკა ორი სიტყვის შეერთება

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



2

ლექსიკა

### ერთისა და ბევრის აღნიშვნა სხვადასხვა სიტყვით

1. ხაზით დააკავშირე ერთის აღმნიშვნელი სიტყვა ბევრის ამსახველ შესაბამის სიტყვასთან:

- ჩააგდო — ანწყვია
- დევს — სხედან
- ზის — ჩამოცვივდა
- ჩამოვარდა — ჩაყარა

2. ახლა ამ სიტყვების გამოყენებით წინადადებები შეადგინე:

ა. გურამმა წყალში კენჭი ჩააგდო.
გურამმა წყალში კენჭები ჩაყარა.

ბ.

გ.

დ.

ე.

72



ლექსიკა

### ბარბარიზმების ნაცვლად მართებული სიტყვები

4

1. სცადე და ქვემოთ მოცემულ სურათებს სწორად მიუწერე, რას რა ჰქვია.

147



ლექსიკა

### სიტყვების წარმოება

6

1. გააგრძელე ნიმუშის მიხედვით:

ა. ეკალი – ეკლიანი

მთა – ღრუბელი – წვიმა –

ბ. სახლი – ნასახლარი

ჩხუბი – ფიქრი – ქურდი –

გ. ლამაზი – ლამაზად – სილამაზე

- კეთილი –
- ფაქიზი –

2. ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

ნაფეხური

მზიანი

სიკეთე

199



ლექსიკა

### ორი სიტყვის შეერთება

7

1. გადაწერე ერთ სიტყვად და ისე გადაიწერე:

ა. ყურები აქვს დაცქვეტილი.

ე. ნავების სადგური

ბ. თვალები აქვს დახუჭული.

ვ. კეთილი გული აქვს.

გ. აქვს მწვანე თმა.

ზ. ხელ-ფეხი აქვს შეკრული.

დ. აქვს წვერი და ულვაში.

თ. აქვს ცისფერი თვალები.

226

# 8. მართლწერა

ამ ნაწილში საბაზისო სასვენი ნიშნებისა და ცალკეული სიტყვების მართლწერა შეისწავლება.


მართლწერა **სახელით მიმართვა**

1

დააკვირდი, როგორ შეიძლება მიემართოთ სახელით ადამიანებს:



1 მოიფიქრე გაგრძელებები და დაასრულე ეს წინადადებები.
– შენი აზრით, რატომ წერია სიტყვები: „ქალბატონო" და „ბატონო"?

2 რომელი სასვენი ნიშანი იწერება სახელით მიმართვის შემდეგ?

3 დააკვირდი წითლად დაწერილ სახელებს. რა შენიშნე?
– მიმართვის დროს რომელია სწორი ფორმა: „გურამ" თუ „გურამი"?

მე ვისწავლე
- სახელით მიმართვის შემდეგ მძიმე იწერება. სწორია: ლევან, გურამ, ეთერ, თამარ, ნუგზარ, ბესიკ...

მიმართე სახელით ყველა თანაკლასელს.

54


მართლწერა **მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა და ასო ჰ**

3

დააკვირდი ფერადასოიან სიტყვებს და უპასუხე შეკითხვებს:



მე ვისწავლე
- მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, სადაც ჰ აუცილებლად უნდა იყოს: ჰქონდა, ჰყავდა, ჰკითხა, ჰქვია, ჰგავს, ჰგონია, ჰყავს, ჰყვება

1 წინადადებებში ზეპირად გაანაწილე სიტყვები:

ჰგავს • ჰყავს • ჰკითხა • ჰქონდა • ჰქვია • ჰგონია.

ა. მეფემ გლეხს გამოსაცდელად სამი რამ ...
ბ. ხელმწიფეს სამი ვაჟი ...
გ. დევს ცხრა თავი ...
დ. ვაჟს სახელად ამირანი ...
ე. ბავშვს ვეფხვის ბოკვერი დიდი ...
ვ. ეს ღრუბელი დათვის ბელს ...

3 ზეპირად შეადგინე წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:
• ჰყავს • აქვს

120


მართლწერა **როგორ ჩავწეროთ რიცხვები?**

4

როგორც ნახე, **დღიურში** ამბებს თარიღებიც უნდა მიუწერო. ბუ ბუბუსამ თარიღების ჩასაწერად ციფრები გამოიყენა. შეეძლო, რიცხვები ასოებითაც ჩაეწერა:

25 დეკემბერი – ოცდახუთი დეკემბერი
28 დეკემბერი – ოცდარვა დეკემბერი

გაეცანი რიცხვების ჩაწერის წესებს:

1. ასოებით ჩაწერისას ერთად იწერება: ყველა რიცხვი ერთიდან ასის ჩათვლით და ასეულთა სახელები:

თორმეტი ოცდასამი • სამოცდათვრამეტი • ორმოცდათორმეტი ორასი • სამასი • ხუთასი...

2. ცალ-ცალკე იწერება დანარჩენი რაოდენობები:

ას ოცდახუთი • ას ორი • ორას ოცი • სამას სამოცი...

3. მაგრამ ერთად იწერება:

ასოცდამეხუთე • ასმეორე • ორასმეოცე და ა.შ.

4. დააკვირდი, როგორ ჩავწერეთ ციფრებით:

მეხუთე → მე-5 ოცდამეხუთე → 25-ე
მეორასე → მე-200 ასოცდამეშვიდე → 127-ე

★ თუ წარმოთქმისას ჯერ მე გვესმის, მაშინ ჯერ იწერება მე- და შემდეგ რაოდენობა ციფრებში. თუ წარმოთქმისას მე სიტყვის შუაშია მოქცეული, ჯერ იწერება ციფრები, ბოლოს კი -ე.

5. მხოლოდ პირველი იწერება ასე: 1-ელი

152


მართლწერა **რა გვესმის და რა იწერება**

1 ზოგჯერ სიტყვები სხვაგვარად გვესმის, მაგრამ სხვაგვარად იწერება. ან, უბრალოდ, არასწორად ვწერთ ამა თუ იმ სიტყვას. მესამეკლასელმა გურამმა თქვენთვის თავსატეხი შექმნა. პატარა თხზულება დაწერა, სადაც სკოლაში მიღებული შთაბეჭდილება გადმოსცა და სპეციალურად დაუშვა შეცდომები.
– დააკვირდი ხაზგასმულ სიტყვებს. თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად იმსჯელეთ, რომელია ამ სიტყვების სწორი ფორმა.

ამ სიტყვებიდან შენ რომელს იყენებდი აქამდე შეცდომით? ახლა რა ფორმით გამოიყენებ?

199

# შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



1

მართლწერა **სახელით მიმართვა**

1. სახელით მიმართე შენს ნაცნობებს: სამ თანატოლსა და ორ უფროსს კი შემდეგ მიუწერე, რის თქმაც გსურს:

48



3

მართლწერა **მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა და ასო ჰ**

1. წაიკითხე წინადადებები და შეცდომით დაწერილი სიტყვები გაასწორე:

ა. ანოს ყავდა დედა, მამა და პატარა ძმა.
ბ. მამა იმ მაღალ შენობაში მუშაობდა, „ცათამბრჯენი" რომ ქვია.
გ. გურამს თავისი გასაღებიც ქონდა.
დ. მას კლასში ბევრი ამხანაგი ყავდა, ბიჭებიც და გოგონებიც.
ე. რომ ჩაირთვებოდა, ტიტინებდა და ტიტინებდა, ათას რამეს ყვებოდა.
ვ. ბიჭმა მეგობარს კიდევ ბევრი რამ კითხა.
ზ. - ყველა ბავშვს ასე გონია, - ეცინება მამას.

2. წინადადებებს სწორად შეურჩიე ჩამოთვლილი სიტყვები:

**ჰგავს • ჰკითხა • ჰქვია • ჰყავდა • ჰქონდა**

ა. გურამსაც სხვა რა გზა ______ ?
ბ. ეტყობა, სათქმელი ძალიან ბევრი ______ .
გ. ალბათ, ამის თქმას აზრი აღარ ______ .
დ. ეს ორი ამბავი ერთმანეთს ძალიან ______ .
ე. გოგონამ მისამართი ერთ-ერთ გამვლელს ______ .
ვ. ამ პატარას დიდი ბებიის სახელი ______ .

104



მართლწერა **როგორ ჩავწეროთ რიცხვები**

4

1. დაასრულე წესები და მიუწერე მაგალითები:

**ა. ასოებით ჩაწერისას ______ ყველა რიცხვი ერთიდან ასის ჩათვლით და ასეულთა სახელები.**

დაწერე შენი მოფიქრებული მაგალითები:

**ბ. ______ იწერება დანარჩენი რაოდენობები.**

დაწერე შენი მოფიქრებული მაგალითები:

**გ. ______ იწერება: ასოცდამეხუთე ორასმეოცე და ა.შ.**

დაწერე შენი მოფიქრებული მაგალითები:

131



მართლწერა **რა გვესმის და რა იწერება**

5

1. მოსწავლის წიგნში მოცემულია გურამის მიერ მოფიქრებული თავსატეხი. გაასწორე ხაზგასმული სიტყვები და ისე გადაიწერე ტექსტი.

171

## 9. თამაში

წიგნი კიდევ უფრო სახალისო რომ გამოსულიყო, თემატური თამაშებიც დავამატეთ, რომლებიც **აღმოჩენებით სწავლებაზეა დაფუძნებული.** თამაშების შემოტანის მეორე მიზანი კი **ინსტრუქციების კითხვის და გაგების სწავლებაა.**


თამაში დახატე მეგობრის ზაფხული

თამაშის წესები

1. დაწყვილდით, დასხედით ერთმანეთის გვერდით.
2. თვალები დახუჭეთ და წარმოიდგინეთ თავი ყველაზე შთამბეჭდავ ადგილას, სადაც კი ამ ზაფხულს იყავით. მაგალითად: მთა, ჩანჩქერი, ზღვის სანაპირო, ტბა, ტყე, ქალაქის პარკი, შადრევანი, ატრაქციონები.
3. მორიგეობით აღუწერეთ ერთმანეთს ეს ადგილი. რჩევა: რომელიც ისმენს, ის **მოსწავლის რვეულში** ცალკეული სიტყვებით ინიშნავს მეგობრის მონათხრობს.
4. მას შემდეგ, რაც თხრობას და ჩანიშვნას ორივე დაასრულებთ, იწყებთ მეგობრის მონათხრობის დახატვას.
5. ხატვის დასრულების შემდეგ გაცვალეთ **რვეულები** და გაუზიარეთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები, რამდენად საინტერესოდ შეძელით ერთმანეთის ზაფხულის ჩახატვა.

13


თამაში შეკითხვები, შეკითხვები

თამაშის ინსტრუქცია

197


თამაში სიტყვობანა

თამაშის ინსტრუქცია

225


თამაში ძალა ერთობაშია

საფეხური 1

საფეხური 2

271

## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში


თამაში
დახატე მეგობრის ზაფხული
1
1. იმოქმედე მოსწავლის წიგნში მოცემული მითითებების მიხედვით.
ა. აქ ჩაინიშნე მთავარი სიტყვები:
ბ. აქ ჩახატე:
15


თამაში
შეკითხვები, შეკითხვები
5
1. მოსწავლის წიგნში მოცემული შეკითხვებიდან შეარჩიე, გადმოიწერე ოთხი შენთვის მნიშვნელოვანი და უპასუხე:
168


თამაში
სიტყვობანა
6
1. თამაშის დროს დაფაზე ჩამოწერილთაგან აირჩიე ნებისმიერი სამი სიტყვა და მიუწერე, როგორი შეიძლება იყოს ის:
ა.
ბ.
გ.
190


თამაში
ძალა ერთობაშია
7
1. აირჩიე თამაში, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა. შენი სიტყვებით დაწერე ამ თამაშის წესები და ის სახალისო ამბავიც, რომელიც თამაშისას მოხდა.
230

## 10. შემოქმედებითი დავალება

ამ სტრუქტურულ ერთეულში მოვიაზრებთ მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ერთდროულად გამოყენებას.
კომიქსის, მოთხრობის, ინტერვიუს, პლაკატის და სხვა მასალის შექმნისას მოსწავლე ავლენს საკუთარ ცოდნას შესასწავლ მასალასთან მიმართებით, როგორ შეუძლია გააკეთოს, დაწეროს, იმსჯელოს, შექმნას ან გახდეს ავტორი და შემდეგ გაუზიაროს აუდიტორიას ნამუშევარი.












## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



1

შემოქმედებითი დავალება

პერსონაჟის დახასიათება

1. წიგნში მოცემული მითითებების მიხედვით დაწერე დემეს დახასიათება:

დემე

34



შემოქმედებითი დავალება

საინფორმაციო ბროშურა საყვარელ თამაშზე

დამხმარე გვერდი

2

1. ბროშურის დამზადებამდე აქ ჩაწერე:
ა. შენი საყვარელი თამაშის ინსტრუქცია
ბ. გეგმა, როგორ გააფორმებ ბროშურას.

თამაშის ინსტრუქცია

გაფორმების გეგმა

73



შემოქმედებითი დავალება

ჩემი საშობაო - საახალწლო დღიური

4

1. საახალწლო არდადეგები კარგა ხანს გრძელდება. ამოარჩიე შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ექვსი დღე და გააკეთე დღიური წიგნში მოცემული მითითებების მიხედვით. შეგიძლია, ჩანაწერები გააფორმო კიდეც.

135



შემოქმედებითი დავალება

შენი თვალსაზრისი

5

1. მოსწავლის წიგნში მითითებული ინსტრუქციების მიხედვით დაწერე, რისთვის არის საჭირო დისტანციური გაკვეთილები.

158

## 11. თვითშეფასების კითხვარი

ყოველი თავის ბოლოს მოსწავლემ ამ თავში შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ თვითშეფასების კითხვებსაც უნდა უპასუხოს. კითხვებს ჯერ კლასში დასვამენ და ხმამაღლა უპასუხებენ. შემდეგ რვეულში აღნიშნავენ თავიანთ პასუხებს. მთავარი, რასაც ეს კითხვარი აჩვენებს, იმ უნარების გამოკვეთაა, რომლებიც მოსწავლეებს უკვე აქვთ ან მომავალში უნდა გამოიმუშაონ. კითხვებს გულწრფელად უნდა უპასუხონ, რათა ეს ყველაფერი თავად გაიაზრონ.

**თქვენი როლი კი პასუხების განხილვისას ძალიან დიდია:** მოსწავლეებს უნდა დააჯეროთ, რომ დასამალი არაფერია, რომ ნებისმიერ ადამიანს გამოსდის რაღაც კარგად და რაღაც – ნაკლებად კარგად; რომ მნიშვნელოვანია, საკუთარი თავის შეფასება შევძლოთ. ადამიანის განვითარება დიდწილად ამაზეა დამოკიდებული. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველაფრის სწავლა შესაძლებელია! თქვენ კი ამაში ეხმარებით.









## შესაბამისი მასალა მოსწავლის რვეულში



თვითშეფასების კითხვარი

1

შემიძლია თუ არა გუნდში მუშაობა?

1. შენი აზრით, რა ახდენს გავლენას გუნდის კარგ მუშაობაზე? შეგიძლია, მონიშნო რამდენიმე პასუხი:

ა. მხიარულება
ბ. ნდობა
გ. იუმორი
დ. ზრდილობა
ე. სერიოზულობა
ვ. მეგობრობა
ზ. უნდობლობა
თ. შეთანხმებული წესების დაცვა

2. რას აკეთებ იმისთვის, რომ შენმა კლასმა შეთანხმებულად, გუნდურად იმუშაოს? დაასრულე წინადადებები:

ა. როცა გაკვეთილი იწყება
ბ. როდესაც მასწავლებელი საუბრობს
გ. როცა მინდა, რომ რამე ვთქვა
დ. როცა მჭირდება დახმარება, მე
ე. როცა თანაკლასელს სჭირდება დახმარება, მე

50



თვითშეფასების კითხვარი

2

ვარ თუ არა თვითორგანიზებული?

1. კარგად შეგიძლია, საკუთარი თავის მართვა? მონიშნე შენი უნარები:

ა. ყოველთვის ვიცი, რა უნდა გავაკეთო.
ბ. როცა რამეს ვიწყებ, აუცილებლად ვასრულებ.
გ. შემიძლია ჩემს შეცდომებზე სწავლა.
დ. შეუპოვარი ვარ და სირთულის არ მეშინია.
ე. შემიძლია საშინაო დავალებების ბოლომდე შესრულება.
ვ. თავს ძალას ვატან, რომ რაც დავგეგმე, შევასრულო.

2. დაწერე, რომელი უნარების შეძენა გსურს და რატომ:

3. წინადადებებს მიუწერე სიტყვები – **შემიძლია** ან **შევძლებ**:

ა. ყოველთვის ყურადღებით ვარ და ვისმენ მითითებებს.
ბ. შემიძლია, სხვადასხვა სიტუაციაში ვაკონტროლო ხმის ტემბრი: ხმამაღლა ვისაუბრო, ხმას დავუწიო, ვიჩურჩულო.
გ. მუშაობას მაშინვე ვიწყებ, როგორც კი მასწავლებელი ინსტრუქციას გაგვაცნობს.
დ. ვინარჩუნებ სიმშვიდეს ნებისმიერ ვითარებაში.
ე. ვარ შეუპოვარი.
ვ. ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რომ ბეჯითად ვიმეცადინო.

74



თვითშეფასების კითხვარი

3

მე ვმართავ ჩემს ემოციებს

1. რომელი ემოცია გიშლის ხელს სწავლაში? დაასახელე და მოიყვანე მაგალითი:

2. რომელი ემოცია გეხმარება კარგად სწავლაში? დაასახელე და მოიყვანე: მაგალითი.

3. რომელი ემოცია გიშლის ხელს სხვებთან ურთიერთობაში დაასახელე და მოიყვანე მაგალითი.

4. რომელი ემოცია გეხმარება სხვებთან ურთიერთობაში? დაასახელე და მოიყვანე მაგალითი:

5. გადახედე შენს პასუხებს. რა დასკვნა გამოიტანე:

106

როგორც ხედავთ, სახელმძღვანელოს მრავალფეროვანი და საინტერესო სტრუქტურა აქვს. მუშაობის პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწეული იქნება ყველა ის მიზანი, რომელიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული.

საინტერესო და შედეგიან სასწავლო წელს გისურვებთ!

# სტრუქტურული ერთეულების განხილვა

## 1. თავის გახსნა (შიდა ერთეულებად დაყოფის საფუძველი)

I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით, სასწავლო თემები უნდა უკავშირდებოდეს შემდეგ თემატიკას:

- თანატოლების ცხოვრება, სურვილები, ოცნებები, ფანტაზიები;
- თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები;
- ოჯახი, სახლი; ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის;
- სკოლა; სწავლა-აღზრდა;
- ფასეულობები (მაგ., ზრუნვა, თანაგანცდა, სიკეთე და ბოროტება);
- ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
- სამშობლო, მშობლიური კულტურა; კულტურული მრავალფეროვნება (მაგ., დღესასწაულები).

შესაბამისად, ჩვენი სახელმძღვანელოს თავებად დაყოფის პრინციპიც ამ თემატურ ჩარჩოს ეყრდნობა და მოიცავს შვიდ თავს. თითოეული თავი იხსნება საგანგებოდ ამ სახელმძღვანელოსთვის შექმნილი თემატური სურათით, რომლის აღწერაც მოსწავლეებში მრავალმხრივი უნარის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი: ზეპირსიტყვიერებისთვის, შემოქმედებითი აზროვნებისა და წარმოსახვისათვის, სხვადასხვა სოციალური გარემოსა და ვითარების გააზრებისთვის, ასევე წერითი უნარებისთვის.

მოსწავლეები ამ სურათებს თავდაპირველად წიგნში ზეპირსიტყვიერად აღწერენ, ვარაუდებს გამოთქვამენ, მსჯელობენ, საკუთარ გამოცდილებას უკავშირებენ და შემდეგ რვეულში მრავალფეროვან წერით დავალებებს ასრულებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს გააზრებინებს, რომ, ტექსტის მსგავსად, სურათიც მრავალ ინფორმაციას შეიცავს და ყველას ჩართავს დახატული ამბის აღქმა-გაგებასა და ინტერპრეტაციის პროცესში. ამისთვის კი მასწავლებელი შემდეგი ტიპის საყრდენ შეკითხვებსა და დავალებებს იყენებს:

- **ზეპირად აღწერე სურათი, აღნიშნე დეტალები, მიუთითე, რა არის სურათზე გამოსახული, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით ქვევით?**
- **როგორი ფერებია გამოყენებული?**
- **დროის რა პერიოდი (ადრინდელი, ახლანდელი, მომავალი), წელიწადის რომელი დრო ან დღის რა მონაკვეთია აღბეჭდილი სურათზე?**
- **რა ან ვინ არის წინ წამოწეული, რა ან ვინ არის გამოკვეთილი სურათზე: ბუნება, ადამიანი?**
- **როგორ აღწერ სურათზე ასახულ ადამიანებს (როგორ გამოიყურებიან, რა აცვიათ, როგორი გამომეტყველება აქვთ: მხიარული, სევდიანი, მწუხარე, ამაყი...), დაახასიათე სურათის ეს პერსონაჟი თუ პერსონაჟები.**

– რა არის შენთვის ნაცნობი ამ სურათზე (იგულისხმება საგნები, პერსონაჟები)?
– სურათის რომელი მონაკვეთია შენთვის ყველაზე ლამაზი?
– რა სიტყვები მოგდის გონებაში სურათის ცქერის დროს?
– შენი სიტყვებით ზეპირად გადმოეცი სურათზე ასახული ამბავი და შემდეგ ჩაწერე რვეულში. სიტყვებით გააცოცხლე დახატული პერსონაჟები.
– სურათს სასაუბრო ჩარჩოები რომ ჰქონდეს, რა ტექსტს ჩაწერდი შიგნით?
– დიალოგის ჩაწერისას, რომელ სასვენ ნიშნებს გამოიყენებდი?
– დაუსვი მეგობარს კითხვა სურათთან დაკავშირებით. მიეცი სახალისო დავალება: მოძებნოს, გაჩვენოს, აგიხსნას სურათის მიხედვით ესა თუ ის ეპიზოდი.
– გამოთქვი ვარაუდი, იმსჯელე, რატომაა ეს სიუჟეტი შერჩეული თავის მთავარ სურათად?
– ილუსტრაციის რა მინიშნებებს მიაქციე ყურადღება?
– როგორ დაასათაურებ სურათს?
– დახატე მსგავსი ამბავი შენი ცხოვრებიდან.

ფუნქციურად დატვირთული ამგვარი გამხსნელი სიუჟეტური სურათებითა და მრავალფეროვანი დავალებებით მასწავლებელს თავიდანვე ექმნება საშუალება სახელმძღვანელოს თავში წარმოდგენილ სხვა დანარჩენ მასალაზე მუშაობის სახალისოდ და საინტერესოდ წარსამართავად.

## 2. კითხვა

კითხვა, როგორც ცენტრალური ამოცანა ქართულის სწავლებისას, ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური საკითხია.

საბოლოო, ლოკალური მიზანი კითხვის სწავლებისა გამომეტყველებითი, გამომსახველობითი კითხვაა (არ ვგულისხმობთ კითხვას, როგორც ინტერდისციპლინარულ უნარს).

გამომეტყველებითი კითხვა მოითხოვს როგორც მარტივ, ისე რთულ სააზროვნო უნარებს, რადგან კომპლექსური პროცესია. ამ რთული პროცესის უკეთ წარსამართავად, უპირველესად, უნდა განისაზღვროს, რა ტიპისაა ტექსტი. პრინციპულად განსხვავდება კითხვის სტრატეგიები სხვადასხვა ჟანრის ტექსტებისათვის.

მხატვრული ტექსტის კითხვას, როგორც წესი, წინ უძღვის ე. წ. ღუზა შეკითხვები, შესაძლებელია გონებრივი იერიშის უფრო ფართოდ წარმართვა.

სასურველია უცხო ლექსიკური ერთეულების წინასწარ განმარტება.

მხატვრული ტექსტის კითხვისას უმეტესად ინდუქციურ მეთოდს მიმართავენ. ეცნობიან ტექსტს მთლიანად (შესაძლებელია გარკვეულ მონაკვეთებზე შეჩერება, მომდევნო ეპიზოდზე მსჯელობა, გამოკითხვა, რას ელიან, როგორ განვითარდება

ამბავი, სიუჟეტი), უფრო ვრცელი ტექსტების შემთხვევაში ისინი გაყოფილია რამდენიმე ნაწილად და თითოეული მათგანი, როგორც წესი, თითო გაკვეთილისთვისაა განსაზღვრული.

საინფორმაციო ტექსტისგან განსხვავებით, მხატვრული ტექსტის სწავლების დროს მასწავლებლის ამოცანაა, დახვეწოს მოსწავლის მორალურ-ეთიკური სამყარო.

განავითაროს მოსწავლის სხვადასხვა უნარი:

- კითხვის მოქნილობა
- მეტყველება
- კრიტიკული აზროვნება
- სათანადო ლექსიკური მარაგი
- ესთეტიკური აღქმა, მხატვრული აზროვნება
- ემოციური ინტელექტი

**მკვლევართა განმარტებით, კითხვა** რამდენიმე ტიპისაა. მესამეკლასელ მოსწავლეს უკვე უნდა შეეძლოს **სწორი, სწრაფი** და **შეგნებული** კითხვა (თუმცა მესამე კლასში ჯერ კიდევ გვხვდება პრობლემები კითხვასთან დაკავშირებით).

ა. **სწორი კითხვა** გულისხმობს უნარს, მოსწავლემ სწორად ამოიკითხოს სიტყვები ტექსტში.

ბ. **სწრაფი კითხვა** გულისხმობს უნარს, მოსწავლეს ფონეტიკურ დონეზე შეეძლოს ტექსტის ერთ გარკვეულ ტემპში წაკითხვა.

გ. **შეგნებული კითხვა** გულისხმობს მოსწავლის უნარს, უხარვეზოდ კითხულობდეს და ესმოდეს წაკითხულის დედააზრი.

თუკი მესამეკლასელს უჭირს სწორი კითხვა, მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს, ხომ არ არის სპეციალისტის ჩარევა საჭირო? რამ გამოიწვია შეფერხება?

**სწრაფი კითხვის უნარის** გასავითარებლად აუცილებელია განსაკუთრებული ვარჯიში **ლექსიკურ მარაგზე**.

**შეგნებული კითხვისათვის** აუცილებელია, მოსწავლეებს დავეხმაროთ მხატვრული ტექსტის შინაარსისა და დედააზრის გაგებაში.

შინაარსისა და დედააზრის გაგება თავისთავად გულისხმობს კიდევ რამდენიმე უნარზე მუშაობას: ტექსტის შესახებ კლასში მსჯელობით და მისი მცირე ნაწილების თხრობისას ვითარდება **ზეპირმეტყველების უნარი**. შეკითხვები, რომლებზე პასუხებიც მოითხოვს მაღალი სააზროვნო უნარებს, ავითარებს **კრიტიკულ აზროვნებას**.

**ემოციური ინტელექტის** განვითარებისათვის ტექსტებში ყურადღება უნდა მიექცეს პერსონაჟთა ემოციებს, გრძნობებს. უნდა გაიმართოს მცირე დისკუსიები, რას იგრძნობდა პერსონაჟი ამა თუ იმ სიტუაციაში. ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა როლური კითხვა ან რომელიმე პერსონაჟის პერსპექტივიდან თხრობა ტექსტისა.

მხატვრული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია გარკვეული **მორალურ-ეთიკური** დილემის წამოჭრა და გადაჭრა. ამ საკითხებზე მსჯელობა, კითხვებზე პასუხი, მართლისა და მტყუანის, ზნეობრივისა და მანკიერის, სიკეთისა და ბორო-

ტის ერთმანეთისგან გარჩევა მოსწავლეში ხვეწს მორალ-ეთიკურ მხარეს და, ამასთანავე, საშუალებას აძლევს, სწორად წაიკითხოს, გაიაზროს ტექსტი. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები, შეკითხვები და დავალებები სწორედ ამ მიზნითაა წარმოდგენილი.

ცალკე მიზანია **ესთეტიკური აღზრდა**. ის აუცილებელი პირობაა მხატვრული ხერხების აღქმა-გაგებისა და ტექსტიდან ესთეტიკური სიამოვნების მიღების თვალსაზრისით. მხატვრული ლიტერატურა მხატვრულ აზროვნებას გულისხმობს, თუმცა, თავისთავად ცხადია, ტროპულ მეტყველებას მეტად ვხვდებით პოეტურ ნაწარმოებებში. ტროპის (ტროპი- მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება, როდესაც სიტყვები ან გამოთქმები გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით) ამოხსნა-დანახვისათვის საჭიროა:

1. გამოცდილება – მოსწავლე ხშირად უნდა კითხულობდეს და ისმენდეს მხატვრულ ტექსტებს.

2. თვითონ მხატვრულ სახეებზე დაკვირვება (საჭიროა გაიმართოს მცირე დისკუსიები, რატომ შეადარა ავტორმა ესა თუ ის საგანი ამა თუ იმ საგანს, რატომ აალაპარაკა ან აატირა ნაძვი, რატომ გააზვიადა ბუნების მოვლენები, კიდევ რას შეიძლება შევადაროთ ზღვა და ა. შ.).

3. თეორიული ცოდნა მხატვრული ხერხების შესახებ (ასაკობრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით).

როდესაც ამა თუ იმ მხატვრულ ტექსტთან მიმართებით დავრწმუნდებით, რომ მოსწავლეების უმეტესობას შეუძლია შეგნებული კითხვა, რეკომენდებულია, ვავარჯიშოთ გამომეტყველებით კითხვაზეც.

**გამომეტყველებითი კითხვა** გულისხმობს სწორი **მახვილების**, **პაუზის**, **ტემბრის**, **ტემპისა** და **რიტმის** შერჩევას.

ამ ყველაფრის მისაღწევად საჭიროა არა მხოლოდ ზოგადი აზრის, არამედ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელის ამოცნობა და გამოკვეთა. სწორად შერჩევა სტრატეგიის – რომელი საშუალებით გამოიკვეთება სათქმელი – ტემპის შენელებით თუ აჩქარებით, ხმის აწევით თუ დაწევით. სად არის ლოგიკური მახვილი? სად ითხოვს ტექსტი მხატვრულ პაუზას? რას ვეუბნებით ამ პაუზით მსმენელს, როგორი ტემბრია შესარჩევი ამა თუ იმ პერსონაჟის ნათქვამის კითხვისას? და ა. შ.

გამომეტყველებითი კითხვის უნარის განსავითარებლად აუცილებელია, პედაგოგი თავად ფლობდეს ამ უნარს და წინასწარ ამზადებდეს კლასის წინაშე წასაკითხ ტექსტს. დემონსტრაციის ხერხს აქ უპირატესობა ენიჭება.

ჩვენს სახელმძღვანელოს აქვს უპირატესობა იმ კუთხით, რომ თან ახლავს **მოსასმენები**, რომლებსაც პროფესიონალი მსახიობი უშეცდომოდ ასრულებს. ამდენად, სახელმძღვანელო საშუალებას გაძლევთ, სადემონსტრაციოდ პროფესიონალის მიერ წაკითხული ტექსტები გამოიყენოთ და მსჯელობა მათი საშუალებით წარმართოთ, დასვათ კითხვები: რა ტემბრი, რიტმი შეარჩია მსახიობმა და რატომ? სად სვამს მახვილებს, სად აკეთებს პაუზას?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტების კითხვის სტრატეგიები რამდენადმე განსხვავდება მხატვრული ტექსტისთვის განკუთვნილისაგან. უმთავრეს პრობლემას ქმნის ის, რომ სამეცნიერო ტექსტში უნდა

დავაინტერესოთ მოსწავლეები ინფორმაციით და ტექსტის კითხვის პერიოდში შევინარჩუნოთ ეს ინტერესი, მაშინ, როდესაც მხატვრულ-ეპიკური ტექსტი, სიუჟეტური თავისებურებიდან გამომდინარე, თვითონ ქმნის ინტერესსა და მოლოდინს. ამიტომ საინფორმაციო ტექსტების დამუშავების პროცესი მეტად ინდუქციურია. პედაგოგი უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებმა გაიგეს მოცემული მონაკვეთი და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს შემდეგზე.

მნიშვნელოვანია, პედაგოგმა ტექსტის დამუშავების წინ აღძრას ინტერესი, გამოიყენოს თვალსაჩინოება, დასვას ღუზა შეკითხვები. წაიკითხოს ტექსტი გამომეტყველებით. შესაძლებელია, ექსკურსიის, როგორც სასწავლო აქტივობის გამოყენება, როგორც ტექსტის სწავლამდე, ისე მის შემდგომ.

წარმატებული პრაქტიკაა ტექსტის სხვადასხვა ნაწილისათვის სათაურების დარქმევა (გეგმა, რომელსაც მეორე კლასიდან სწავლობენ) და შემდეგ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება.

საინტერესოა საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების შედარებითი ანალიზიც. ამ დროს მეტად შეძლებთ დაეყრდნოთ კვლევით მეთოდს. ამისთვის გამომეტყველებით უნდა წაუკითხოთ უკვე დამუშავებული თითო მხატვრული და საინფორმაციო ტექსტი.

ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება წაკითხვის ხასიათიც, ტემბრიც, ტონიც, რაც მოსწავლეებს უბიძგებს, ეძებონ განსხვავებები და მეტად გაერკვნენ ტექსტების სტრუქტურა-დანიშნულებაში. თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ ვენის დიაგრამით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მას შემდეგ, რაც სასწავლო ბადეს დაემატა „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“, „ბუნება“, ქართულის სწავლებისას არამხატვრული ტექსტების წილი შემცირდა, თუმცა მათი სწავლება მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ქართულის პედაგოგს ტექსტზე მუშაობის მრავალფეროვანი ცოდნა და გამოცდილება აქვს. ის ამზადებს საფუძველს შემდგომში სხვადასხვა სამეცნიერო ტექსტების შესასწავლად.

სასწავლო პროცესში მასწავლებელი კითხვის პროცესს სამ ეტაპად წარმართავს და თითოეულ საფეხურზე შესაბამის აქტივობებს ასრულებს მოსწავლეებთან ერთად:

**კითხვის დაწყებამდე:** მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ტექსტთან დაკავშირებით, ააქტიურებენ არსებულ ცოდნას თემის ირგვლივ, მიმოიხილავენ ტექსტის ელემენტებს, უპასუხებენ შეკითხვებს (შინაარსი, სტრუქტურა, ავტორი...)

**კითხვის პროცესში:** ეცნობიან და უბრუნდებიან წაკითხულ მონაკვეთებს, უღრმავდებიან ბუნდოვან ნაწილებს, ამუშავებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, აყალიბებენ ვარაუდებს, გამოაქვთ დასკვნები.

**წაკითხვის შემდეგ:** უპასუხებენ შემაჯამებელ შეკითხვებს, განსაზღვრავენ მოცემული ტექსტის წაკითხვის მიზანს, აანალიზებენ, აჯამებენ წაკითხულ მონაკვეთებს, მოწმდება გაგების, გააზრების ეფექტურობა, აყალიბებენ საკუთარ პოზიციას.

საგაკვეთილო პროცესში ასევე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გამოიყენოს კითხვის ეფექტური სტრატეგიები, როგორებიცაა: „ორიენტირებული კითხვა“, „მკითხველთა თეატრი“, „დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“, „მნიშვნელოვანი სიტყვები“, „ურთიერთსწავლება“...

ტექსტის დამუშავებისას მასწავლებელს მრავალმხრივი მისია აკისრია. მნიშვნელოვანია ტექსტის სტრუქტურის გაგება, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა, პერსონაჟის სქემა, შესაბამისი გრამატიკული საკითხები, ტექსტის მხატვრული მხარე, კავშირი რეალურ სამყაროსთან, სხვა ტექსტებთან, ფილმებთან, მოსწავლეთა პირად გამოცდილებასთან და ასე შემდეგ. ეს სწორედ ის სიღრმეებია, რომლებშიც მასწავლებელი მოსწავლეს უნდა ჩაჰყვეს და მეგზურობა გაუწიოს.

ტექსტის შინაარსობრივი მხარისთვის, სტრუქტურისთვის, ენისა და ჟანრული მახასიათებლისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მსგავსი ტიპის საკვანძო შეკითხვები:

**ტექსტის შინაარსობრივი მხარე**

### თემა და იდეა

- რა არის ავტორის მთავარი სათქმელი?
- რა მნიშვნელობა აქვს დეტალებს ან კონკრეტულ ინფორმაციას ტექსტის მთავარი იდეის, საკითხის გაგებისთვის?
- როგორ განვასხვაოთ მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, დეტალები?
- რით უკავშირდება ეს ტექსტი ჩვენს გამოცდილებას, ცხოვრებას?
- რომელი წიგნი, მულტფილმი ან ფილმი გაგვახსენა ამ ტექსტმა? რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?
- როგორ გამოვიყენოთ წაკითხულით მიღებული გამოცდილება რეალურ ცხოვრებაში?

### პერსონაჟი

- როგორია პერსონაჟი? იმსჯელეთ მისი სიტყვების, აზრების, ემოციების, საქციელისა და დამოკიდებულებების მიხედვით?
- რამდენად და როგორ შეიცვალა (ან არ შეიცვალა) პერსონაჟი?
- როგორ და რატომ შეიცვალა პერსონაჟი თხრობის განვითარებასთან ერთად? რით უპასუხებს პერსონაჟი წარმოქმნილ პრობლემას და რა იცვლება ამის შედეგად?
- რა და როგორ შეიცვლება ტექსტში პერსონაჟის ქცევის შეცვლით ან ახალი პერსონაჟის შემოყვანით? რა არ შეიცვლება ან რა დარჩება იგივე?
- როგორ გამოვკვეთოთ პერსონაჟის ხასიათის ცვლილებები?
- როგორ ამოვიცნოთ პერსონაჟის ან მთხრობლის ხედვის კუთხე, პერსპექტივა? რა მინიშნებებს უნდა დავეყრდნოთ ხედვის კუთხის ამოსაცნობად?
- რა მსგავსება-განსხვავებაა ჩვენს ხედვის კუთხესა და პერსონაჟის ხედვის კუთხეს შორის?
- რა და როგორ შეიცვლება ტექსტში ხედვის კუთხის შეცვლით? რა არ შეიცვლება?

### ტექსტის სტრუქტურა

- რა სტრუქტურული ერთეულებისგან შედგება ტექსტი?
- რატომ არის ტექსტი აბზაცებად დაყოფილი?
- რის საფუძველზე გამოყოფენ აბზაცს?

### ტექსტის ენა, ენობრივი მხარე, უცნობი სიტყვების ამოცნობა, დამახსოვრება

- როგორ „ხატავენ“ მწერლები ენით, სიტყვებით?
- რატომ შეარჩია მწერალმა ეს სიტყვები?

- რომელი სიტყვები, გამონათქვამები
- იყო უცნობი?

### ტექსტის ჟანრული მახასიათებლები

- საიდან ჩანს, რომ ეს ტექსტი არის იგავი, მოთხრობა,რეკლამა, კომიქსი?
- როგორი აგებულება აქვს ამ ჟანრის ტექსტებს (მაგ., მოთხრობებს)?
- ჟანრის რა მახასიათებლები გამოვიყენო მაგ. ზღაპრის, იგავის შექმნისას?

ჩვენი სახელმძღვანელო მოიცავს ასაკის შესაბამის ყველა ჟანრის ტექსტს (მოთხრობას, ზღაპარს, იგავს, ლექსს, კომიქსს, პიესას, წერილს, განცხადებას...).

ტექსტების სტრუქტურა-დანიშნულების უკეთ წარმოსაჩენად მასწავლებელს შეუძლია დაეყრდნოს ქვემოთ მოცემულ ცხრილს, რომელშიც დეტალურადაა ნაჩვენები კონკრეტული ჟანრების არსებითი მახასიათებლები.

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **ზღაპარი** | • ზღაპარი გადმოგვცემს გამოგონილ, უჩვეულო, ჯადოსნურ (ფანტასტიკურ) ამბავს, რომელშიც მონაწილეობენ პერსონაჟები: ადამიანები, სულიერი და უსულო არსებები; ჯადოსნური ძალის მქონე გამოგონილი პერსონაჟები (დევი, ფასკუნჯი, ელფი, ფერია, დრაკონი, სხვ.);<br>• ზღაპარში მოთხრობილი ამბავი შესაძლებელია ხდებოდეს გამოგონილ ადგილზე ანდა დროში;<br>• ზღაპარში შეიძლება, ერთმანეთს ენაცვლებოდეს თხრობა და აღწერა, გამოყენებული იყოს დიალოგები;<br>• ზღაპარში ხშირად მოთხრობილია, როგორ ამარცხებს კეთილი ბოროტს. | • ზღაპარი შედგება სამი ნაწილისგან: დასაწყისი (იყო და არა იყო რა..), ძირითადი ნაწილი (ამბავი) დასასრული (ჭირი – იქა, ლხინი – აქა ).<br>• ზღაპარში ამბავი გადმოიცემა დროითი თანმიმდევრობის დაცვით;<br>• ზღაპარს აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა.<br>• როგორ წესი, ზღაპრის პერსონაჟებს არ ჰქვიათ საკუთარი სახელები. შესაძლებელია ზედმეტსახელები: ნაცარქექია, სიზმარა. | • გამოყენებულია ზომიერად ხატოვანი ენა, იშვიათად ხმარებული, უჩვეულო თუ საინტერესო სიტყვები;<br>• გამოიყენება სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომლებიც თანამიმდევრულად ებმის ერთმანეთს.<br>• შეიძლება გამოყენებული იყოს დროითი მიმდევრობის გამომხატველი ენობრივი საშუალებები. |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **მოთხრობა** | • მოთხრობაში გადმოცემულია გამოგონილი ამბავი, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს ნამდვილ ამბავს;<br>• მოთხრობაში მონაწილეობენ პერსონაჟები: ადამიანები, სულიერი და უსულო არსებები;<br>• თხრობა ხშირად გამდიდრებულია სხვადასხვა დეტალით;<br>• მოთხრობაში შეიძლება ერთმანეთს ენაცვლებოდეს თხრობა და აღწერა, გამოყენებული იყოს დიალოგები. | • მოთხრობაში გადმოცემულ ამბავს აქვს სამი ნაწილი (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული), რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს;<br>• მოთხრობაში ამბავი გადმოიცემა დროითი თანმიმდევრობის დაცვით;<br>• მოთხრობას აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა. | • მოთხრობაში გამოიყენება ხატოვანი ენა, იშვიათად ხმარებული, უჩვეულო თუ საინტერესო სიტყვები;<br>• გამოიყენება სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომლებიც თანამიმდევრულად ებმის ერთმანეთს. |
| **იგავი** | • იგავში მოთხრობილია გამოგონილი ამბავი.<br>• იგავში მონაწილეობენ პერსონაჟები: ადამიანები, სულიერი და უსულო არსებები; ხშირად პერსონაჟები არიან ცხოველები;<br>• იგავი დიდაქტიკურია, რაღაცას გვასწავლის, ჭკუას გვარიგებს, გვირჩევს.<br>• იგავი ხშირად გამდიდრებულია სხვადასხვა დეტალით;<br>• იგავში გამოიყენება დიალოგები. | • იგავში გადმოცემულ ამბავს აქვს სამი ნაწილი (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული), რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს;<br>• იგავში ამბავი გადმოიცემა დროითი თანმიმდევრობის დაცვით;<br>• იგავის ბოლოს შეიძლება იყოს შეგონება (დასკვნა) – ერთი-ორი წინადადება, რომლებშიც გადმოცემულია იგავის დედააზრი (მთავარი აზრი).<br>• იგავს აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა.<br>• იგავი მცირე ან საშუალო ზომისაა. | • იგავში შეიძლება გამოყენებული იყოს იშვიათად ხმარებული, უჩვეულო თუ საინტერესო სიტყვები;<br>• გამოიყენება სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომლებიც თანამიმდევრულად ებმის ერთმანეთს.<br>• იგავის ენა სადაა, ნაკლებად ხატოვანია. ახასიათებს გასულიერება. |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **ლექსი** | • ლექსი გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებებს, გრძნობებს, ფიქრებს; ასეთი ლექსი ლირიკულია.<br>• ლექსში შეიძლება გადმოცემული იყოს რაიმე ამბავი. | • ლექსი შედგება სტროფებისგან, სტროფები – სალექსო სტრიქონებისგან;<br>• სალექსო სტრიქონების ბოლოს სარითმო სიტყვებია.<br>• ლექსი შეიძლება იყოს ურითმოც, მაგრამ მას მაინც ექნება გარკვეული რიტმი. | • ლექსში გამოყენებულია ხატოვანი, მხატვრული ენა, იშვიათად ხმარებული, უჩვეულო და საინტერესო სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც,შეიძლება პოეტმა შექმნა. |
| **თქმულება** | • თქმულება გადმოგვცემს ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარ ამბავს, რომელიც შეიძლება იყოს ნაწილობრივ მოგონილი, ნახევრად ნამდვილი ამბავი (ეფუძნებოდეს სინამდვილეში მომხდარ ამბავს, მაგრამ დამატებული ჰქონდეს გამონაგონიც).<br>• თქმულებაში პერსონაჟები არიან ისტორიული პირები, გამოგონილი პერსონაჟები, მითოსური არსებები. | • თქმულებას აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა.<br>• თქმულებაში გადმოცემულ ამბავს აქვს სამი ნაწილი (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული), რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს;<br>• თქმულებაში ამბავი გადმოიცემა დროითი თანმიმდევრობის დაცვით. | • თქმულებაში შეიძლება გამოყენებული იყოს ხატოვანი ენა, იშვიათად ხმარებული, უჩვეულო თუ საინტერესო სიტყვები;<br>• გამოიყენება სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომლებიც თანამიმდევრულად ებმის ერთმანეთს;<br>• |
| **საინფორმაციო -შემეცნებითი ტექსტი** | • დაწერილია რაიმე ინფორმაციის წარდგენა-გაზიარების მიზნით, მკითხველს აცნობს სინამდვილეში არსებულ, მომხდარ მოვლენას, ფაქტს; ინფორმაციას აწვდის კონკრეტულ თემაზე, საკითხზე. | • დაწერილია უმთავრესად აღწერითი წინადადებებით, რომელთა მიზანია, სათაურს უპასუხოს, მისი არსი გამოხატოს. | • შეიძლება გამოყენებული იყოს სამეცნიერო სიტყვები, რომლებსაც არ ვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში;<br>• გამოიყენება სხვადასხვა წინადადებები, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს. |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **წერილი** | • დაწერილია კონკრეტული ადამიანისთვის, რომელსაც ავტორი უზიარებს თავის სათქმელს (მაგ., საკუთარ ფიქრებს, დამოკიდებულებებს, განცდებს, აძლევს რჩევას, აწვდის რაიმე ინფორმაციას). | • წერილი შედგება სამი ნაწილისგან:<br>ა) მიმართვა, მისალმება, ბ) ძირითადი ნაწილი, გ) დამშვიდობება, ავტორის ხელმოწერა. ფორმატი<br>• შეიძლება იყოს ქაღალდზე ნაწერი ან ელექტრონული. | • იმის შესაბამისად, თუ ვისთვისაა დაწერილი, შეიძლება გამოყენებული იყოს ყოველდღიური სასაუბრო ან თავაზიანი მეტყველება.<br>• გამოიყენება სიტყვები, რომლებიც შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე, დააინტერესებს მას;<br>• გამოიყენება სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომლებიც თანმიმდევრულად ებმის ერთმანეთს. |
| **რეკლამა** | • რეკლამა გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, მოგვიწოდებს რაღაცის გაკეთებისკენ (მაგ., გავუფრთხილდეთ გარემოს, შევიძინოთ რაიმე ნივთი, ვნახოთ ესა თუ ის ფილმი, ვიმოგზაუროთ რომელიმე ქვეყანაში) და გვარწმუნებს, რომ ეს ქმედება უკეთესობისკენ შეცვლის ჩვენს ცხოვრებას, გაგვამდიდრებს საინტერესო ცოდნა-გამოცდილებით;<br>• რეკლამა გამიზნულია და გათვლილია ადამიანების კონკრეტულ ჯგუფზე (მაგ., ბავშვებზე, უფროსებზე, ახალგაზრდებზე) ან ფართო საზოგადოებაზე. | • რეკლამას აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა.<br>• გამოიყენება ვიზუალური ეფექტები სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად, შთაბეჭდილების მოსახდენად (სხვადასხვა ზომის თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივი განლაგება, ვიდეოეფექტები და სხვ.).<br>• მოცემულია ინფორმაცია ან მინიშნება რეკლამის გამავრცელებელზე (მაგ., ლოგო, სავაჭრო ნიშანი, კონტაქტები);<br>**ფორმატი**<br>• შეიძლება იყოს ქაღალდზე ნაწერი, ელექტრონული, აუდიო ან მულტიმედიური სახის.<br>• შეიძლება გამოყენებული იყოს მუსიკა, სიმღერა (მულტიმედიურ რეკლამაში). | • მიზნობრივად გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსის მოკლე წინადადებები.<br>• მიზნობრივად გამოყენებულია ისეთი სიტყვები და წინადადებები, რომლებიც დააინტერესებს ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს (მათ, ვისთვისაც შექმნილია რეკლამა). |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
| --- | --- | --- | --- |
| **საინსტრუქციო ტექსტი** | • ინსტრუქცია გვასწავლის, აღგვიწერს, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ რაღაც, რა კონკრეტული ქმედებებია შესასრულებელი მიზნის მის-აღწევად. | • ინსტრუქციას აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა.<br>• დაწერილია შესას-რულებელი მოქმედე-ბების თანამიმდევრო-ბის დაცვით;<br>• ზოგჯერ ინსტრუქცია დაყოფილია ნაწილე-ბად (მოქმედებების თანამიმდევრობის მიხედვით). | • გამოყენებულია მოკ-ლე წინადადებები;<br>• გამოყენებულია ბრძანებითი კილოს ფორმები (აუცილე-ბლად შესასრულებე-ლი);<br>• ხშირად გამოყენებუ-ლია თანამიმდევ-რობის აღმნიშვნელი სიტყვები: თავიდან, ჯერ, მერე, ბოლოს. |
| **საინფორმა-ციო-ყოფითი ტექსტი**<br>**(მაგ., განცხადება, აფიშა, მისალოცი ბარათი, გამა-ფრთხილებელი აბრა)** | • საინფორმაციო-ყოფითი ტე-ქსტი გვაწვდის ინფორმაციას კონკრეტულ მოვლენაზე, თემაზე ანდა საკითხზე, ფაქტზე.<br>• იგი დაკავშირებულია კონკ-რეტულ საკომუნიკაციო სიტუაციასთან. | • ტექსტის სტრუქტუ-რა-აგებულება შეესა-ბამება საკომუნიკაციო სიტუაციას.<br>• მცირე ზომისაა, თვალშისაცემია, მოწესრიგებული აქვს ვიზუალური მხარე. | • ტექსტის ენაც შეესაბამება საკომუ-ნიკაციო სიტუაციას. შესაძლოა იყოს ოფი-ციალური ან პირადუ-ლი, უფროსებისთვის შესაბამისი ან ბავშვე-ბისთვის შესატყვისი. |
| **ჩანახატი** | • ჩანახატში ავტორი გვი-ზიარებს თავის შთაბე-ჭდილებებსა და ემოციებს განცდილზე, ნანახზე, მომხ-დარზე. | • ჩანახატი მცირე მოცუ-ლობისაა;<br>• ჩანახატს არ აქვს მკ-აცრად განსაზღვრული აგებულება. | • პირადი დამოკ-იდებულების, ემო-ციების გამომხატველი ენობრივი საშუალე-ბები, შესაძლებელია გამოიყენებოდეს ხატოვანი ენაც. |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **კომიქსი** | • კომიქსში ამბავი გადმოცემულია ნახატებით და „ღრუბლებში“ სიტყვებით.<br>• „ღრუბლებში“ მოთავსებულია ის სიტყვები, რომლებითაც პერსონაჟები ელაპარაკებიან ერთმანეთს, მათი ფიქრები და ოცნებები;<br>• ნახატები გამოხატავს პერსონაჟებს, მათ ქმედებებს, ზოგჯერ – გრძნობებსა და განწყობას, მოქმედების ადგილს;<br>• ამბის გადმოსაცემად უმეტესწილად გამოიყენება საუბრები (დიალოგები) პერსონაჟებს შორის;<br>• დამატებით შესაძლებელია გამოყენებული იყოს მართკუთხედებში ჩასმული ავტორისეული კომენტარები, სხვა საჭირო მოკლე ინფორმაცია (მაგ., პერსონაჟებზე, მომხდარზე, მოქმედების დროზე). | • კომიქსში გადმოცემულ ამბავს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული, რომლებიც თანმიმდევრულად ებმის ერთმანეთს;<br>• კომიქსში ამბავი გადმოიცემა დროითი თანამიმდევრობის დაცვით.<br>• კომიქსს აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა. | • გამოიყენება სხვადასხვა შინაარსის წინადადებები, ხშირად გამოიყენება ემოციების აღმნიშვნელი სიტყვები და ფრაზები. |
| **პოსტერი** | • პოსტერები იქმნება სხვადასხვა მიზნით; პოსტერზე ავტორი თვალსაჩინოდ გამოხატავს თავის სათქმელს ანდა გზავნილს რაიმე თემაზე, საკითხზე ანდა პრობლემაზე, მოვლენაზე. | • პოსტერზე შეიძლება გამოყენებული იყოს წარწერები, სურათები, ფოტოები, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს;<br>• გამოიყენება ვიზუალური ეფექტები სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად, შთაბეჭდილების მოსახდენად (სხვადასხვა ზომის თუ ფერის ასოების, წარწერებისა და ილუსტრაციების მიზნობრივი განლაგება). | • გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსის მოკლე წინადადებები. |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **დღიური** | • დღიური დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შექმნილი ჩანაწერების კრებულია;<br>• დღიურში ავტორი გადმოსცემს, რა მოხდა კონკრეტული ჩანაწერის შესაბამის პერიოდში; გულწრფელად ჰყვება თავის ფიქრებზე, ემოციებზე, შთაბეჭდილებებზე, განზრახვებზე, მისწრაფებებზე; ხსნის საკუთარ ქცევას, დაუფარავად გადმოსცემს თავის შეფასებებსა და დამოკიდებულებებს სხვა. | • დღიურში თითოეულ ჩანაწერს აქვს თარიღი – კონკრეტული დღე, როდესაც ეს ჩანაწერი შეიქმნა; შესაძლებელია დამატებით მითითებული იყოს წელი ან კვირის დღე.<br>• დღიურში ჩანაწერები წარმოდგენილია დროითი, ქრონოლოგიური მიმდევრობის დაცვით;<br>• დღიურის ჩანაწერები შეიძლება შექმნილი იყოს, როგორც წერილები გამოგონილი პირისთვის;<br>• დღიური იწერება პირადი მოხმარებისთვის – იმისათვის, რომ ავტორმა მოგვიანებით გადაიკითხოს და თვალწინ გაიცოცხლოს განვლილი ცხოვრება, თუმცა დღიური შეიძლება გამიზნული იყოს ასევე ახლობლების ვიწრო წრისთვისაც. ზოგიერთი პირადი დღიური გამოქვეყნებულია და მთელ მსოფლიოშია ცნობილი (მაგ., ანე ფრანკის დღიური).<br>• რეალური ადამიანების დღიურების გარდა, არსებობს ლიტერატურული – მწერლების მიერ დაწერილი დღიურები. ლიტერატურული დღიური დაწერილია მხატვრული ნაწარმოების ავტორის მიერ, რომელიც ქმნის დღიურს მის მიერ გამოგონილი პერსონაჟის როლის მორგებით. ლიტერატურული დღიური იწერება გამოსაქვეყნებლად და გამიზნულია ფართო აუდიტორიისთვის. | • დღიურის ენა ემოციურია, გამოიყენება პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები;<br>• ხშირად გამოიყენება სასაუბრო სტილი.<br><br>**ფორმატი**<br>• ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, ხელნაწერი თუ ბეჭდური დღიურების გარდა, გაჩნდა ინტერნეტ და ციფრული დღიურები.<br>• წერილის სახით დაწერილი ჩანაწერები იწყება ადრესატისადმი ტრადიციული მიმართვით (მაგ., „ძვირფასო კიწი“), მთავრდება ხელმოწერით, შესაძლებელია ჰქონდეს ტრადიციული დამშვიდობებაც (მაგ., „ნახვამდის“). |

| ჟანრი – მახასიათებელი | შინაარსი | სტრუქტურა | ენა |
|---|---|---|---|
| **ინტერვიუ** | • ინტერვიუს მიზანია წინასწარ მოფიქრებულ კითხვებზე პასუხების მეშვეობით რაიმე ინფორმაციის მიღება.<br>• ინტერვიუს შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა აინტერესებს ადამიანს, რომელიც შეკითხვებს სვამს.<br>• ინტერვიუს მეშვეობით ინტერვიუერმა შეიძლება გაიგოს მისთვის (და საზოგადოებისთვის) საინტერესო ადამიანის დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ, მისი პრობლემები, მოსაზრებები და ა.შ . | • ინტერვიუ შედგება შეკითხვებისა და პასუხებისგან. შეკითხვების დამსმელს კორესპონდენტი ეწოდება, ხოლო ვინც მას პასუხს სცემს – რესპონდენტი.<br>• შეკითხვები და პასუხები ერთმანეთს კანონზომიერად ენაცვლება: თითოეულ შეკითხვას მოსდევს შესაბამისი პასუხი, შემდეგ – ისევ შეკითხვა და ა. შ.<br>• ინტერვიუ შეიძლება იყოს ინდივიდუალური (როცა ერთ ადამიანს ესაუბრებიან) და ჯგუფური (როცა რამდენიმე ადამიანს უსვამენ შეკითხვებს).<br>• უნდა მიეთითოს ინტერვიუერისა და რესპონდენტის ვინაობა. | • ინტერვიუსთვის დამახასიათებელია დიალოგური მეტყველება.<br>• ინტერვიუ შედგება სხვადასხვა შინაარსის მრავალფეროვანი წინადადებებისგან. ძირითადად გამოიყენება კითხვითი და თხრობითი წინადადებები.<br>• ინტერვიუს შეკითხვები მოკლე, მკაფიო და არაორაზროვანია, ლექსიკა – მრავალფეროვანი.<br>• ხშირად გამოიყენება თავაზიანობის გამომხატველი ფორმები. |
| **რეპორტაჟი** | • რეპორტაჟში თვითმხილველის მიერ მოთხრობილია ამა თუ იმ ადგილას მომხდარი მნიშვნელოვანი ამბავი, შემთხვევა.<br>• რეპორტაჟში გადმოცემული ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს რომელიმე სოფელში, ქალაქში, ქვეყანაში ან მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან ამბებს, მაგალითად, მხატვართა ნამუშევრების გამოფენებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ახალ სპექტაკლებსა და კინოფილმებს, მეცნიერულ მიღწევებს, სხვადასხვა სახის დღესასწაულებს...<br>• რეპორტაჟში შეიძლება ჩართული იყოს ინტერვიუ ამბის მონაწილეებთან ან თვითმხილველებთან. | • რეპორტაჟი ძირითადად შედგება თვითმხილველის (ჟურნალისტის) მონათხრობისგან.<br>• რეპორტაჟს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.<br>• სათქმელის უკეთ გადმოსაცემად, შთაბეჭდილების მოსახდენად გამოიყენება ვიზუალური ეფექტები (სხვადასხვა ზომისა თუ ფერის ასოები, ფოტოსურათები, წარწერებისა და ფოტოების მიზნობრივი განლაგება, ვიდეოეფექტები).<br>• რეპორტაჟში შეიძლება ერთმანეთს ენაცვლებოდეს თხრობა, აღწერა, დიალოგი (ინტერვიუ). | • რეპორტაჟში ძირითადად გამოიყენება ყველასთვის ადვილად გასაგები, სასაუბრო სტილი;<br>• გამოიყენება სხვადასხვა შინაარსის მოკლე წინადადებები;<br>• გამოიყენება სიტყვები, რომლებიც შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე ანდა მაყურებელზე, დააინტერესებს მას.<br><br>**ფორმატი**<br>• რეპორტაჟი შეიძლება იყოს საგაზეთო და საჟურნალო სტატია, ანდა რადიო და სატელევიზიო გადაცემა. |

## 3. მოსმენა

კითხვის კომპეტენციისთვის აუცილებელი რესურსის გარდა, სახელმძღვანელოში უხვადაა წარმოდგენილი მოსმენის უნარის გასავითარებელი მასალა, როგორც მხატვრული ტექსტების აუდიო ნაწყვეტები, სპეციალურად ამ სახელმძღვანელოსთვის შექმნილი ვიდეოინტერვიუები, ჟურნალისტური რეპორტაჟები, ნაწყვეტები ძველი და თანამედროვე ფილმებიდან.

ნიშანდობლივია, რომ ამ მოსასმენი რესურსით მოსწავლეებში არა მხოლოდ მოსმენის კომპეტენციას ვაუმჯობესებთ, არამედ აქტიურად ვიყენებთ გამართული თხრობის უნარების განსავითარებელ აქტივობებადაც.

დავალებები და აქტივობები მოსმენის უნარების გასავითარებლად ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

- დავალებები, რომლებიც მოსმენას უძღვის წინ;
- დავალებები, რომლებიც მოსმენისას უნდა შესრულდეს;
- დავალებები მოსმენის შემდეგ.

აუდიომასალის მოსმენამდე მოსწავლეებმა ილუსტრაციაზე დაყრდნობით უნდა გამოთქვან ვარაუდი მოსასმენი ტექსტის შინაარსზე და გაიცნონ, დაამუშაონ ახალი ლექსიკური ერთეულები.

შემდეგ ტექსტს უსმენენ უწყვეტად ან პაუზებით და აუცილებლად რამდენჯერმე (დეტალებზე ჩასაღრმავებლად და დასაზუსტებლად). გზადაგზა პასუხს სცემენ შინაარსის გაგებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

მოსმენის შემდგომ კი ზეპირი და წერითი ტიპის შემდეგ დავალებებს შეასრულებენ:

- **იმსჯელე, რამდენად გამართლდა შენი მოლოდინი და ვარაუდი შინაარსთან დაკავშირებით?**
- **როგორ დაიწყო ამბავი და როგორ განვითარდა?**
- **რამდენად მოულოდნელი იყო ასეთი დასასრული, რაიმეს ხომ არ შეცვლიდი თავად?**
- **წგაიხსენე შინაარსიდა მონიშნე ცხრილში მოცემული სწორი და არასწორი ინფორმაცია.**
- **გამოყავი მთავარი და არამთავარი ინფორმაცია.**
- **დაყავი ამბავი მცირე ეპიზოდებად და დაასათაურე.**
- **დაწერე გეგმა და ამ გეგმაზე დაყრდნობით საკუთარი სიტყვებით გადმოეცი მოსმენილის შინაარსი.**
- **რა შეკითხვას დაუსვამდი კლასელს მოსმენილის ირგვლივ...**

## 4. ენა

უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გრამატიკის სწავლება სისტემური კურსის მიხედვით შედარებით რთული და ნაკლებად ეფექტურია სწავლების პირველ წლებში. მესამე კლასშიც თანამედროვე ენის გრამატიკის ელემენტების სწავლება ძირითადად უნდა ემსახურებოდეს სწორი წერითი და ზეპირი მეტყველების ჩამოყალიბებას. ეს კი მიღწეული უნდა იყოს არა პირდაპირ გრამატიკული ტერმინოლოგიის (ცნებების) და წესების შესწავლით, არამედ პრაქტიკული სავარჯიშოებით.

### ტერმინებით (ცნებებით) სწავლების შესახებ

როგორც განათლების ოფიციალური დოკუმენტებიდან ვიცით, დაწყებით საფეხურზე, ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ცნების ცოდნის სამი დონე გამოიყოფა.

**1. ტერმინის პრაქტიკულ-კონტექსტური ცოდნა**

ეს დონე გულისხმობს ტერმინის მნიშვნელობის ცოდნას მხოლოდ ცალკეულ, ნაცნობ და ვიწრო კონტექსტებში, ტერმინის ზოგადი შინაარსის, მნიშვნელობის, ანუ ცნების, გააზრების გარეშე; მაგალითად, მოსწავლემ უნდა იცოდეს, თუ რის გაკეთებას სთხოვს ასეთი დავალების პირობა: „რომელი სიტყვა ანდა სურათი არღვევს კანონზომიერებას?“ თუმცა მოსწავლეს არ ეცოდინება, თუ რა არის კანონზომიერება ზოგადად. შესაძლოა, ეს იყოს პასიური ცოდნა, ანუ მოსწავლე ამ ტერმინს თვითონ არ იყენებდეს არც ერთ სხვა კონტექსტში.

**2. ტერმინის აქტიური ცოდნა**

ეს დონე გულისხმობს ტერმინის მნიშვნელობის მიხვედრას ყველა ისეთ კონტექსტში, რომლებშიც დანარჩენი სიტყვები ნაცნობია; თანაც ამ ტერმინის აქტიურ გამოყენებას კონტექსტების მეტ-ნაკლებად შესატყვისად. ტერმინის აქტიურ ცოდნამდე მისაყვანად აუცილებელია ამ ტერმინის გამოყენება განსხვავებულ კონკრეტულ კონტექსტებში. მაგალითად, ბავშვს არ შეუძლია აბსტრაქტული ტერმინების: „მიზეზი“ და „შედეგი“ ლოგიკურ-ცნებითად გააზრება, მაგრამ თუკი ამ ტერმინებს კონტექსტურად მივაწვდით, ბავშვი გუმანით მიხვდება, თუ რას გულისხმობს ეს ტერმინები თითოეულ კერძო კონტექსტში. ამისთვის ბავშვი ნელ-ნელა მეთოდურად უნდა მივაჩვიოთ ამ ტერმინებს. ვთქვათ, მოთხრობაში არის ასეთი წინადადება: „მელამ ვერ მოითმინა, იწუწკა და ამის გამო მახეში გაება". მიზეზშედეგობრივ მიმართებათა გაგებინების ხელშესაწყობად შეკითხვა ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „წუწკობის გამო რა მოუვიდა მელას? რა მოხდა წუწკობის მიზეზით? რა იყო წუწკობის შედეგი?“ ეს შეკითხვა არ გულისხმობს, რომ ბავშვს გააზრებული აქვს „მიზეზის“ და „შედეგის“ მნიშვნელობა. შეკითხვა უამისოდაც გასაგებია. პირიქით, ეს შეკითხვები უნდა დაეხმაროს მიზეზშედეგობრიობის გაცნობიერებაში, უნდა იყოს ერთი აგური ცნების „მიზეზშედეგობრიობა“ აგების ხანგრძლივ გზაზე. მრავალჯერად კონტექსტურ გააზრებას ბავშვი ტერმინის აქტიურ ცოდნამდე მიჰყავს.

შეიძლება ითქვას, რომ ტერმინის აქტიური ცოდნა, მისი კონკრეტულ კონტექსტებში ადეკვატური გამოყენება არის ნამდვილი ცნებითი აზროვნების ხატობრივ-ასოციაციური წინარე სახე, რომელიც მყარ საფუძველს ქმნის ცნებითი აზროვნების გასავითარებლად.

**3. ცნების გააზრება**

ეს დონე გულისხმობს ცნების შესატყვისი ტერმინის მნიშვნელობის აქტიურ ცოდნას და ცნების არსებით ნიშან-თვისებათა გაცნობიერებას, ცნების მოცულობის გარკვევას, მათ შორის – არატიპური დადებითი და უარყოფითი მაგალითებისა. ამ დონის მიღწევის პირველი გზა მრავალწლიანი კონტექსტური გააზრებაა. ხოლო შემდეგ, დაწყებული IV-V კლასებიდან, ბავშვს უკვე ლოგიკურ-ცნებითი აზროვნება განუვითარდება. ამიტომ მას უკვე შეეძლება ცნებათა გააზრება პირდაპირ თეორიული სწავლებით, ცნების განმარტების, განსაზღვრებისა და თეორიული ტექსტების პირდაპირი მიწოდებით, მაგალითებისა და კონტრმაგალითების გარჩევით. თუმცა საამისოდ აუცილებელია საგანგებო შემზადება – კონსტრუქტივისტული პირველი ფაზა.

დაწყებითი კლასების ფარგლებში, 6-9 წლის ასაკში, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა მესამე დონეზე მეტწილად მხოლოდ თვალსაჩინო საყრდენის მქონე ცნებებს გაიაზრებს, ისიც მცირე რაოდენობით (მაგ.: პერსონაჟი, დიალოგი, კომიქსი, სახელის მრავლობითი რიცხვი და სხვა). 9-10 წლის შემდეგ ბავშვი თანდათან გაიაზრებს აბსტრაქტული, თვალსაჩინო საყრდენის არმქონე ცნებებსაც (მაგ.: ზედსართავი სახელი, მდგომარეობა, მოქმედება (მოძრაობისგან განსხვავებული), თვისება და სხვა). ამ ასაკში მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა შეძლებს სხვადასხვა კონტექსტურ მნიშვნელობათა განზოგადებას და ერთ ცნებაში გაერთიანებას, თანაც უკვე არა ასოციაციურად, არამედ ლოგიკურად.

## ენის სწავლების რა მეთოდები არსებობს?

ზოგადად ენის სწავლებისას გამოიყენება როგორც ინდუქციური (კერძოდან ზოგადისკენ, წესისკენ), ასევე დედუქციური გზა (წესის გაცნობა და შემდეგ დაკვირვება კონკრეტულ მაგალითებზე) .

ამ ორივე გზას აქვს თავ-თავისი უპირატესობები: ინდუქციური სწავლებისას მოსწავლე მეტად ჩართულია, მაგრამ საგაკვეთილო პროცესი შედარებით რთული სამართავი ხდება, ასევე, შეიძლება ვერ მოესწროს მთელი მასალის გადაცემა. დედუქციური სწავლებისას გზა უფრო მწყობრად გადასცემს მეტ მასალას, მაგრამ ჭირს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება, რადგან ისინი შედარებით პასიურ როლში არიან.

მეთოდებიდან ყველაზე მომხიბვლელი **ევრისტიკული ხერხია**, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სწორად დასმული კითხვებისა და დავალებების საშუალებით, ხარაჩოს პრინციპის გათვალისწინებით, თავად მივიდეს ამა თუ იმ წესამდე. ჩვენს სახელმძღვანელოში ენის (გრამატიკის) სწავლება (ისევე, როგორც სხვა სტრუქტურული ერთეულებისა) სწორედ ამ პრინციპზეა აგებული. ამასთანავე, ენის სწავლება ინტეგრირებულია ლიტერატურის სწავლებასთან და ცალკე არ გამოიყოფა.

## 5. წერა

ქართულ ენაში როგორც საწყის ეტაპზე, ანბანის შესწავლისას, ასევ შემდგომ, კითხვა წინ უსწრებს წერას და, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს კომპოზიტი – წერა-კითხვა, პედაგოგიკური თვალსაზრისით, პირიქითაა: კითხვა-წერა.

იმისთვის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს წერითი მეტყველების უნარი, ჯერ მუშავდება ზეპირი მეტყველება, ხოლო შემდეგ – წერითი. ყველა ის აქტივობა, რომლებიც მიმართულია კითხვის უნარების განსავითარებლად, ასევე მიმართულია წერითი უნარების სრულყოფისაკენ. სახელმძღვანელოში ჯერ ვიაზრებთ ტექსტებს, მათ მხატვრულ თავისებურებებს, ენობრივ წესებს, მხატვრულ ხერხებსა თუ მის ჟანრულ თავისებურებას და მხოლოდ შემდეგ გადავდივართ წერით აქტივობებზე.

სახელმძღვანელოს კომპონენტებში მოცემული ისეთი დავალებებიც კი, რომლებიც წერას არ მოითხოვს და მხოლოდ აღნიშვნას, გადახაზვას ან დაკავშირებას საჭიროებს, საბოლოოდ მაინც წერითი მეტყველების განვითარებას ემსახურება, რადგან ეხმარება მოსწავლეს ტექსტის გააზრებაში ან ამდიდრებს მის ლექსიკურ მარაგს, აცნობს ენობრივ თავისებურებებს, უბიძგებს, შეარჩიოს სტილურად უმჯობესი ფორმა. ამგვარი ხერხებით მიღებული ცოდნა ირიბად მოსწავლის წერის უნარის განვითარებას განაპირობებს.

ამ სახელმძღვანელოში წერის სწავლების საბოლოო მიზანია, მოსწავლემ შეძლოს გამართული წერითი მეტყველება ჟანრული თავისებურების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა მცირე თუ შედარებით მოზრდილი ტიპის წერითი დავალებებიც, როგორებიცაა: კითხვებზე პასუხი (სოკრატული მეთოდის წერითი ანალოგი, რომელიც აზროვნების სხვადასხვა დონეზე გადის), მცირე თუ ვრცელი დახასიათებები პერსონაჟებისა, მოსწავლის აზრი და მისი დასაბუთება რაიმე საკითხთან დაკავშირებით, ტექსტის გეგმა, ჩანახატი, სურათი, ჩანაწერი, დღიური, პიესა, რეცეპტი, მცირე რედაქტირება, კომიქსი, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შეთავაზებული მოსაზრების დასაბუთება, რეკლამა, აღწერა, „სიტყვობანას თამაში", დავალებები, რომლებიც საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებას იძლევა (მაგ, გვ.10 – ჩაწერე შენი ოცნება ) თუ სხვა.

დაგვეთანხმებით, რომ რაც უფრო მრავალგვარია წერითი დავალება, მით უფრო მეტად და მრავალმხრივად ვითარდება მოსწავლის წერითი უნარი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თუკი კითხვისას ძირითადი მიზანია მხატვრული ტექსტის გაგება და სწორედ მხატვრულ ტექსტებზე მოდის უდიდესი წილი, წერისას პირიქითაა – მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში, უმეტესწილად, განავითაროს არა მხატვრული, არამედ არგუმენტირებული წერითი მეტყველების უნარი. ეს, თავისთავად ცხადია, ასახულია წერითი დავალებების ტიპებში.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ ყოველი შემდეგი დავალების შესრულებისას უფრო და უფრო კარგად **შეძლოს საკუთარი აზრის მწყობრად, გამართულად გადმოცემა, ადეკვატური ლექსიკის გამოყენება, ამა თუ იმ აზრის დასაბუთება, აზრის დასაბუთების მიზნით მაგალითის მოტანა**.

ასევე სწავლების პროცესში წერის უნარის გასავითარებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ სამუშაოზე, როგორიცაა **შეცდომების გასწორება**. როგორც ცნობილია, მოსწავლეები განსაკუთრებული ხალისით ეკიდებიან ამ ტიპის სამუშაოს. ამიტომ თქვენი ინიციატივითაც მიეცით ასეთი დავალებები. გასწორება

უნდა ეხებოდეს არა მარტო სიტყვების მართლწერას და სასვენი ნიშნების სწორად დასმას, არამედ შინაარსობრივ მხარესაც.

## 6. თეორია

ამ სათაურის ქვეშ ჩვენს სახელმძღვანელოში ლიტურატურათმცოდნეობითი საკითხებია თავმოყრილი. მესამეკლასელები ეცნობიან როგორც ჟანრულ თავისებურებებს, ასევე ტროპის სახეებს. ლიტერატურის თეორიის სწავლება, როგორც ლიტერატურის სწავლების საფუძველი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია და განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

ჟანრული კუთვნილების დადგენის გარეშე გაძნელდება ტექსტის მხატვრულ-შინაარსობრივი ანალიზი, ისევე როგორც ტროპული სახეების ამოხსნის გარეშე, მოსწავლეები ვერ შეძლებენ მხატვრული  სახეების კონსტრუირებას გონებაში, რაც ტექსტის აღქმისა და ესთეტიკური ტკბობის საფუძველია.

როგორც ვიცით, ტროპული მეტყველების საფუძველი თითქმის ყოველთვის შედარებაა. ამავე დროს ის ყველაზე ადვილად აღსაქმელი მხატვრული ხერხია. ჩვენს სახელმძღვანელოშიც შედარებით იწყება მხატვრული ხერხების სწავლება. როდესაც მოსწავლის გონება გავარჯიშებულია ისეთი კავშირების დაჭერაში, როგორებიცაა, ვთქვათ: მგელი და ჭამა, თხა და სიჯიუტე, ბატი და დაბნევა (მგელივით მშია, თხასავით ჯიუტი, ბატივით დადის), საფუძველი იქმნება უფრო რთული ტროპების გაგებისა.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს მოუწევთ, გაეცნონ არა მხოლოდ ადაპტირებულ თეორიულ მასალას სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების შესახებ, არამედ იკითხონ და თავადვე შექმნან (მოთხრობა, ლექსი, ანდაზა, გამოცანა, დღიური, პიესა...) ისინი. ეს ყველაფერი კი სამომავლოდ რთული ტექსტების აღქმისთვის ამზადებს პატარა მკითხველს.

შევეცადეთ, რომ თეორიული სწავლება ისე ყოფილიყო ინტეგრირებული კითხვის, გააზრების, წერისა და ენის აქტივობებში, რომ სწავლის პროცესი არ დაემძიმებინა და ბუნებრივად ჩაწერილიყო საგაკვეთილო პროცესში.

## 7. ლექსიკა

ლექსიკაზე მუშაობა  უწყვეტი პროცესია და დაწყებითი კლასებიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით გრძელდება. მესამე კლასის ამ სახელმძღვანელოში, გარდა ტექსტებთან მოცემული ლექსიკური ერთეულების დამუშავებისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ცალკეა გამოყოფილი ეს სტრუქტურული ერთეული. ამ ნაწილში

გვსურს, მოსწავლეთა ყურადღება მივმართოთ სიტყვების წარმოებაზე, ფორმასა და მასთან დაკავშირებულ შინაარსზე, ასევე სასაუბრო ენის ზეგავლენით არასწორად დამკვიდრებულ ფორმებზე. ამით გვინდა, მოსწავლეებს ნელ-ნელა გამოვუმუშაოთ სიტყვებზე დაკვირვების, მათი შედგენის, წინადადებაში მათი ადგილისა თუ მნიშვნელობის განსაზღვრის უნარები.

## კიდევ რა შეიძლება გავაკეთოთ სახელმძღვანელოს ფარგლებს გარეთ ლექსიკაზე მუშაობისთვის?

კარგი იქნება, თუ გაკვეთილებზე დროდადრო ლექსიკურ სავარჯიშოებს დაეთმობა 10-15 წუთი. რა თქმა უნდა, არ არის სასურველი, რომ მოსწავლეებს ერთდროულად ბევრი ახალი სიტყვის დამახსოვრება მოვთხოვოთ. მოსწავლეები ადვილად იმახსოვრებენ სიტყვის მნიშვნელობას, თუ გაეცნობიან მის სინონიმებს, ანტონიმებს, გაიაზრებენ მას სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. სიტყვების დამახსოვრების ხარისხს განსაკუთრებით ეხმარება აქტივობებში თამაშის ელემენტების შეტანა. გთავაზობთ ასეთი აქტივობების მოკლე აღწერებს:

### ა. დღის სიტყვა

არჩევთ ერთ სიტყვას, რომელსაც დღის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა. დაწერთ დაფაზე ამ სიტყვას და მოსწავლეებს სთხოვთ, დააკვირდნენ: „დღის სიტყვა“ რამდენ ასოს შეიცავს, რომელი ასოები მეორდება, ხმოვანზე იწყება, თუ თანხმოვანზე, ხომ არ შეიცავს სხვა სიტყვას ანდა სიტყვებს, რა კითხვა დაესმის, რას ნიშნავს, როგორია, სად შეგვხვდება, თუ აქვს მსგავსი ან საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა და სხვა. ბოლოს სთხოვთ წინადადების შედგენას ამ სიტყვის გამოყენებით.

### ბ. გამოცნობანა

წყვილებს დაურიგებთ სუფთა ბარათებს და სთხოვთ, თითოეულმა დაწეროს იმ დღეს გაკვეთილზე მოსმენილი, შესწავლილი მისთვის სასურველი სიტყვა. შემდეგ გადააბრუნოს ბარათი, მიუბრუნდეს მეწყვილეს და აუხსნას ამ სიტყვის მნიშვნელობა. გამარჯვებულად ჩაითვლება ყველა, ვინც სწორ პასუხს გამოიცნობს.

### გ. სიტყვების გროვა

გაკვეთილის მიზნის შესაბამისად, წინასწარ არჩევთ სიტყვებს, წერთ ბარათებზე და ათავსებთ დიდ მაგიდაზე, რომლის ირგვლივაც მოსწავლეები არიან შეჯგუფებულნი. ბავშვები აკვირდებიან სიტყვების გროვას და ეძებენ თქვენ მიერ მითითებული დავალების შესაბამის სიტყვებს. მაგალითად: მოძებნონ სიტყვა, რომელიც უპასუხებს კითხვაზე რა? როგორი? რა ქნა?... სიტყვა, რომელიც აღნიშნავს გრძნობას, ფერს... ა.შ. ასეთი აქტივობის რამდენჯერმე შესრულების შემდეგ შეგიძლიათ, დავალება გაართულოთ და დაფაზე წინასწარ ჩამოწეროთ კატეგორიები, რის მიხედვითაც ეს სიტყვები უნდა დააჯგუფოს კლასმა. თითოეული კატეგორიის ქვეშ მოსწავლეები რიგრიგობით ამაგრებენ შესაბამის ბარათს. ბოლოს ყველას ერთად სთხოვთ, გადაამოწმონ, რამდენად სწორად შეასრულეს დავალება.

**დ. სიტყვების წაშლა**

დაფაზე ორ სვეტად წერთ ტექსტიდან წინასწარ შერჩეულ სიტყვებს. მოსწავლეებს ყოფთ ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფის წევრები თავიანთი სვეტიდან კითხულობენ თითო-თითო სიტყვას და თუ სწორად განმარტავენ, შლიან. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც მეტ სიტყვას წაშლის.

**ე. სიტყვის პირამიდა**

სქემას აქვს სამკუთხედის ფორმა (იხ. დანართში რესურსი **4ა**, სიტყვის პირამიდა), რომლის პირველ, ზედა ზოლში იწერება სიტყვა, რომელზეც ყურადღებას ვამახვილებთ და რომელიც ხანგრძლივად უნდა დარჩეს მოსწავლის გონებაში. მეორე ზოლში იწერება ამ სიტყვის განმარტება. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ წაკითხული და შემდეგ თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან ამ სიტყვის მნიშვნელობა. შეიძლება, მათი განმარტება არ იყოს სრულფასოვანი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოსწავლე ცდილობდეს ამ სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემას სხვა, მისთვის ნაცნობი სიტყვებით. მესამე ზოლში კი მოსწავლე წერს წინადადებას, რომელშიც ამ სიტყვას გამოიყენებს.

**ვ. სიტყვების ბანკი**

პატარა ყუთებს გაუკეთეთ თემატური წარწერები. მაგალითად: „ბუნების მოვლენები“ „ნივთები“, „ბოსტნეული“, „ცხოველები“, „სასწავლო ნივთები“, „მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები“ და ა.შ. ყოველ ჯერზე გაკვეთილზე შესწავლილ ახალ ლექსიკურ ერთეულებს მოსწავლეები წერენ ბარათებზე და ანაწილებენ შესაბამის ყუთში. ასე იქმნება „სიტყვების ბანკი“ , რომელსაც, საჭიროებისამებრ, ვიყენებთ სხვადასხვა აქტივობებისათვის. მაგალითად:

- ცხოველების ყუთიდან ამოიღე ერთი ბარათი და ისაუბრე ცხოველზე, რომლის სახელიც ბარათზე წერია. დაახასიათე გარეგნულად, თვისებებით. გაიხსენე, სად ბინადრობს; რა ზღაპარი ან მოთხრობა წაგიკითხავს მის შესახებ და ა.შ.
- ნივთების ყუთიდან ამოიღე ერთი ბარათი და ისაუბრე ნივთზე, რომლის სახელიც ბარათზე წერია. რაში გამოიყენება, სად გინახავს, შენ თუ გაქვს შინ, აღწერე, როგორია და ა. შ.
- ნებისმიერი ყუთიდან ამოიღე ერთი ბარათი, განმარტე მასზე დაწერილი სიტყვა, მისი გამოყენებით შეადგინე წინადადება ან რაიმე სახის ტექსტი (ამბავი, რეკლამა, წერილი და ა.შ).

**ზ. წინადადების განვრცობა**

იმის მიხედვით, რას როდის სწავლობენ, ბარათებზე წერთ კითხვებს: სად? როდის? როგორ? როგორი? რატომ? რისთვის? და მაგიდაზე აწყობთ გადაბრუნებულად. შემდეგ მოსწავლეებს ურიგებთ ბარათზე დაწერილ მარტივ წინადადებებს (მაგალითად: მე მოვედი.). მოსწავლეები რიგ-რიგობით იღებენ ბარათს მაგიდიდან და რა კითხვაც შეხვდებათ, იმის მიხედვით განავრცობენ წინადადებას. მაგალითად:

**სად?** მე **სკოლაში** მოვედი.

**როგორი?** მე სკოლაში **დაღლილი** მოვედი.

**როდის?** მე დღეს სკოლაში მოვედი. და ა.შ.

**თ. მეზღაპრეები და მეცნიერები**

კლასს ვყოფთ ჯგუფებად. ერთს არქმევთ „მეზღაპრეებს", მეორეს – „მეცნიერებს". ურიგებთ ბარათებს ერთნაირი სიტყვებით. მეზღაპრეები ამ სიტყვების გამოყენებით ადგენენ უცნაურ, აბსურდულ წინადადებებს, მეცნიერები – ჩვეულებრივ, რეალური შინაარსისას. მაგალითად, სიტყვა: **კვერცხი**

**„მეცნიერები"** – ფრინველები კვერცხს დებენ ნაშიერის გამოსაჩეკად.

**„მეზღაპრეები"** – კვერცხს ფრთები აქვს და დაფრინავს ჰაერში.

მოსწავლეები ამ წინადადებებს აკრავენ დაფაზე და შემდეგ მსჯელობენ მათ შესახებ. კლასში ეს დავალება დიდ მხიარულებას გამოიწვევს. თქვენ კი ზუსტად მიხვდებით, ვის რამდენად სწორად ესმის ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და ვინ როგორ აგებს წინადადებას.

**ი. დაკარგული სიტყვები**

შესასწავლი ტექსტის რომელიმე აბზაცს სპეციალურად აკლებთ რამდენიმე სიტყვას და აძლევთ მოსწავლეებს შესავსებად. პირველ ეტაპზე შეგიძლიათ მისცეთ ასევე ბარათებზე წინასწარ დაწერილი სიტყვები, რომლებიც სწორად უნდა ჩასვან ტექსტში. შემდეგ ეტაპზე კი თვითონ უნდა მოიფიქრონ და ჩაწერონ აბზაცში ჩასასმელი საჭირო სიტყვები.

შეიძლება, სიტყვები წინასწარ შერჩეული პრინციპით გამოტოვოთ. მაგალითად, დროის აღმნიშვნელი სიტყვები, მოქმედების ან სხვა.

რომელიმე ეტაპზე შეგიძლიათ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ერთ ადგილზე ჩასასმელი ერთი კი არა, ორი-სამი ვარიანტი მისცეთ. თანაც ისეთი, რომ ერთ ადგილას ორი სწორი სიტყვის ჩასმა იყოს შესაძლებელი. ასეთი შემთხვევების კლასის წინაშე განხილვა და სათანადო დასკვნის გაკეთება, ლექსიკური მარაგის გამდიდრების გარდა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებასაც უწყობს ხელს.

კლასის წინაშე განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა იმსჯელონ შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

- როგორ ამოიცანი სწორი სიტყვა?
- იყო თუ არა ეს სიტყვა პირველივე ვარიანტი?
- შეიძლება თუ არა შენ მიერ შერჩეული სიტყვის გარდა სხვა სიტყვა გამოვიყენოთ იმავე ადგილას?
- ხომ არ გქონია შენი ვერსიაც?
- რა დაგეხმარა სიტყვათა შემოთავაზებული ვერსიებიდან სწორის შერჩევაში?..

## 8. მართლწერა

მართლწერა ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ენის სწავლების ფარგლებში. ის ავითარებს როგორც კონკრეტული ენის კომპეტენციას, ისე ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების, მეხსიერების, ყურადღების განვითარებას.

მართლწერისათვის საჭიროა როგორც კარგი სმენა (გავიგონოთ და დავწეროთ), ასევე, გრამატიკული წესების ცოდნა.

ქართული ენა უმეტესწილად **მორფოლოგიურ პრინციპს** მიყვება. შეიძლება ისმოდეს „ვარჯიშობ", მაგრამ, რადგან მოცემულ ზმნაში ერთი ვ ფუძისეულია, ხოლო მეორე – პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, იწერება „ვვარჯიშობ".

რადგან დაწყებით საფეხურზე გრამატიკის სწავლება ძირითადად თავს არიდებს ტერმინების (ცნებების) სიმრავლეს, ორთოგრაფიული ნაწილიც ძალიან ფრთხილად, მაგალითებზე დაყრდნობით, სავარჯიშოებითა და ხშირი გამეორებით ისწავლება.

ჩვენს სახელმძღვანელოში მართლწერის საკითხები ნიმუშებზე დაკვირვებით, კვლევის გზით გვაქვს წარმოდგენილი.

მართალია, მესამე ირიბი ობიექტის ნიშნის წერას ზმნასთან დაკავშირებული მორფოლოგიური წესების ცოდნა სჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე, სანამ ასაკობრივად ამ მასალას დაძლევენ, საერთოდ არ გავუმახვილოთ ყურადღება, რომ ზმნების გარკვეული რაოდენობა ჰ ასო-ბგერით იწყება.

ასევეა კომპოზიტების მართლწერასთან დაკავშირებით. კომპოზიტების მართლწერის წესები უმრავლესობა საბაზო საფეხურზე ისწავლება, მაგრამ და-ძმა ტიპის კომპოზიტების მართლწერა მარტივი დაკვირვების გზითაც დაიძლევა, სწორედ ამიტომ, ჩვენი წიგნის ერთ-ერთი რუბრიკაა „მართლწერა". ვფიქრობთ, ამ რუბრიკით ყურადღებას ვამახვილებთ მისი სწავლების მნიშვნელობასა და თვითონ პროცესზე: შეიძლება მასალა მოცულობითი არ იყოს, მაგრამ წლის განმავლობაში მასწავლებლისა და მოსწავლის მუდმივ ჩართულობასა და მუშაობას მოითხოვს.

მართლწერაში ასევე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს **პუნქტუაციის სწავლება**. პუნქტუაცია, რომელიც, თავის მხრივ, შინაარსობრივ გაგებასა და სინტაქსურ ანალიზს ეფუძნება, დიდ როლს თამაშობს ტექსტის გაგება-გააზრებისათვის და მოსწავლისაგან მაღალ სააზროვნო უნარებს ითხოვს. იმისთვის, რომ მოსწავლემ დასვას სასვენი ნიშანი წინადადების ბოლოს, საჭიროა, აღიქვას, რომ წინადადება დამთავრდა და განსაზღვროს მისი ტიპი (თხრობითი, კითხვითი, კითხვით-ძახილის).

პუნქტუაციის სწავლებისას ძირითად ნაწილს იჭერს საუბარი და თხრობა. თუმცა, პედაგოგებს საშუალება გაქვთ, თქვენი სურვილით აარჩიოთ მეთოდი და გაამრავალფეროვნოთ სწავლების პროცესი.

მაგალითად, მოსწავლის სახელმძღვანელოში, გვ. 21-სა და 22-ზე მოცემული მასალა გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც თავის თავში გულისხმობს სწავლების პროცესში პრობლემის წარმოჩენას. თემას ხსნის ტექსტი, რომელშიც არაა სასვენი ნიშნები. პედაგოგს შეუძლია, წაუკითხოს მოსწავლეებს ტექსტი ინტონაციის გარეშე და დასვას კითხვა, რა პრობლემები შეიქმნა ტესტის გაგების თვალსაზრისით. როდესაც აღმოაჩენენ პრობლემას, შესაძლებელია, გამოიყენოთ ახსნა-განმარტების მეთოდი ან მივცეთ

ჯგუფური მუშაობის საშუალება, რათა ჯგუფებში თავად შეიძლონ შესაბამისი სასვენი ნიშნების დასმა.

თავისთავად ცხადია, პუნქტუაციის სწავლებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გამომეტყველებითი კითხვა. როგორც კითხვის სწავლებისას, პედაგოგის მიერ წაკითხულს, აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დაწყებითი კლასების მოსწავლეები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ სრულყოფილ გამომეტყველებით კითხვას, რომელშიც ყურადღება ეთმობა ყველაფერს: ინტონაციას, პაუზას, მახვილს, ტემბრს, რიტმს. შესაბამისად, რეკომენდებულია, მასწავლებელმა წაიკითხოს კლასის წინაშე და მოსწავლეები შემდეგ შეეცადონ (ვთქვათ, გუნდური კითხვის საშუალებით ), თავადაც გაიმეორონ და დასვან შესაბამისი სასვენი ნიშნები, წარმოთქვან სხვადასხვა ტიპის წინადადება (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვით-ძახილის).

პუნქტუაციის სწავლებისას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურობას. წერისას მოსწავლეები ვალდებულნი არიან, შეძლებისდაგვარად, დაიცვან შესწავლილი სასვენი ნიშნების გამოყენების წესები, თუმცა, საჭიროა შეხსენება, გამომეტყველებით კითხვაში მოსწავლეთა გაწაფვა, ყურადღების გამახვილება შეცდომებსა და მათ აღმოფხვრაზე.

## 9. თამაში

თამაშის, როგორც სწავლების მეთოდის გამოყენების უპირატესობები, ცხადზე ცხადია.

უდავოა, რომ თამაშის ელემენტების გამოყენებით სასწავლო პროცესი ბევრად უფრო საინტერესო, სახალისო და შემოქმედებითია, მოსწავლეებში სამუშაო განწყობას ქმნის და დაძაბულობას ხსნის, რაც გაკვეთილს ბევრად უფრო გამორჩეულს, პოზიტიურს, სასურველს და ნაყოფიერს გახდის.

დადასტურებულია, რომ თამაშის პროცესში მიწოდებულ სასწავლო ინფორმაციას ბავშვი ბევრად უფრო ადვილად იმახსოვრებს. თამაში ბავშვისთვის სამყაროს შეცნობის უმნიშვნელოვანესი გზაა, მისი გონებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ხერხია. ცოდნა, რომელსაც ბავშვი იღებს სკოლასა და სახლში, თამაშის დროს პრაქტიკულ გამოყენებასა და განვითარებას პოულობს. ბავშვისთვის თამაში ასევე წარმოადგენს თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის კარგ საშუალებას.

იმისათვის, რომ თამაშმა სასწავლო პროცესში თავისი როლი შეასრულოს და დადებითი შედეგები მოიტანოს, ჩვენს სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ მას და თითოეული თავის შემადგენელ ნაწილად ვაქციეთ, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად შევიტანეთ.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ თამაშებს აქვს ნათელი, ცხადი და გასაგები წესები. ის სრულ გაკვეთილს მოიცავს და მთავრდება მიზნის შესაბამისი შედეგით. მაგალითად: „დახატე მეგობრის ზაფხული“, „იპოვე რუკაზე“, „აღმოაჩინე სახალისო

ტესტით, რომელი ტიპის მოთამაშე ხარ“, „გადალახე შეკითხვების წვიმა“, „სი-ტყვობანა“, „ძალა ერთობაშია“...

თამაშები მრავალფუნქციურია. გამოიყენება ზეპირი და წერითი უნარების განსავითარებლად, ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, გრამატიკული ერ-თეულების დასასწავლად.

სასწავლო თამაშის შედგენისას მოვერიდეთ შეჯიბებრის ელემენტებს. გავით-ვალისწინეთ, რომ თამაშის თითოეულ მონაწილე ბავშვს ჰქონდეს წარმატების განცდის შანსი და შეეძლოს მიღწევების დემონსტრირება და გაზიარება.

## 10. შემოქმედებითი დავალებები

ამ სტრუქტურულ ერთეულში მოვიაზრებთ მოსწავლის შემეცნებით-შემოქმე-დებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგ-რირებულად გამოყენებას.

მაგალითად: კომიქსის, მოთხრობის, ინტერვიუს, პლაკატის და სხვა მასალის შე-ქმნისას მოსწავლე ადასტურებს საკუთარ ცოდნას შესასწავლ მასალასთან მი-მართებით. თუ როგორ გაიგო მანამდე ამა თუ იმ ტექსტის შინაარსი, სტრუქტურა, ენა, გრამატიკული საკითხები... როგორ შეუძლია თავადაც მარტივად გააკეთოს, დაწეროს, იმსჯელოს, შექმნას ან გახდეს ავტორი და შემდეგ გაუზიაროს აუდი-ტორიას ნამუშევარი.

**სახელმძღვანელოში მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე და საჭირო თვალსაჩინოე-ბებით აღწერილია შემოქმედებითი დავალების დამუშავების ეტაპები: ისინი ეც-ნობიან დავალებას პირობას, აქტივობების თანმიმდევრობას, საჭირო რესურსს, მუშაობის ფორმას, დავალების წარდგენის პირობებს, შეფასებას და შეჯამებას.**

**თითოეულ თავში მასალის გასამთლიანებლად და ნასწავლის შესაჯამებლად რამ-დენიმე მსხვილი თემატური შემოქმედებითი დავალება იყრის თავს.**

**სახელმძღვანელოში შემოქმედებითი დავალებები ისეა მიწოდებული მოსწავ-ლისთვის, რომ მას გაეზარდოს თვითშეფასება და მოტივაცია, თვალსაჩინოდ დაინახოს საკუთარი ცოდნის განვითარების შედეგები, გამოიყენოს პრაქტიკაში ნასწავლი და თამაშ-თამაშით, შემოქმედებითად ჩაერთოს დავალების შექმნის პროცესში.**

ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალი ინსტრუქციებითა და მანამდე უკვე შესწავლილი მასალით მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ ისეთი ტიპის დავალებების შესრულე-ბას, როგორებიცაა: „დაახასიათე პერსონაჟი“, „ისაუბრე პერსონაჟის სკამიდან“, „ჩაწერე ინტერვიუ“, „ითამაშე მსახიობობანა“, „შეადგინე საინფორმაციო ბრო-შურა საყვარელ თამაშზე“, „განავრცე მოთხრობა“, „გააცოცხლე ეპიზოდები“, „წარადგინე რეცეპტი ოჯახის სამზარეულოდან“, „მისწერე მოსაწვევი წერილე-ბი მეგობარსა და მის მშობლებს“, „დაწერე ჩემი საშობაო-საახალწლო დღიური“, „შექმენი კომიქსი“, „გაგვიზიარე შენი თვალსაზრისი“, „დაასაბუთე მოსაზრება“, „დაწერე თხზულება – ჩემი მიზანი,“ „ჩემი წინადადება“, „ისაუბრე თემაზე –

ბუნების კეთილ არსებებს ბედნიერება მოაქვთ“, „შექმენი პოსტერი – ჩემი სამშობლო“.

ვფიქრობთ, ამ ტიპის დავალებების მომზადებისას სასწავლო პროცესი იქნება არა რუტინული და დამღლელი, არამედ უფრო ნაყოფიერი და შემოქმედებითი ყველასთვის – მოსწავლისთვისაც და მასწავლებლისთვისაც. ამ ტიპის დავალებებისთვის სახელწოდებაც სწორედ ამ ნიშნით შეირჩა.

შემოქმედებითი დავალებები მორგებულია როგორც ინდივიდუალურ, ასევე წყვილებში ან ჯგუფურ მუშაობას.

## 11. თვითშეფასების კითხვარი

**რა უნდა ვიცოდეთ თვითშეფასების შესახებ?**
ამონარიდები სტატიიდან: **„თვითშეფასება და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში“**, ქეთევან ოსიაშვილი

**„თვითშეფასება დაახლოებით იგივეა პიროვნებისთვის, რაც ხერხემალი სხეულისთვის. თვითშეფასება არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობებისადმი, პიროვნული თვისებებისადმი, გარეგნობისადმი. ნებისმიერ ჩვენგანს გარკვეული თვითშეფასება აქვს და ჩვენი ქცევა ძირითადად ჩვენივე თვითშეფასებით არის ნაკარნახევი.**

თვითშეფასების სწორად ჩამოყალიბების შემთხვევაში ბევრი სირთულის თავიდან აცილებას შევძლებთ. ის, თუ როგორი პიროვნება დადგება ამა თუ იმ ბავშვისგან მომავალში, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, როგორი თვითშეფასება გამოუმუშავდება მას. ბავშვებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ და უვითარდებათ თვითშეფასება – საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასების უნარი, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მათ ქცევას. ყველა ასაკის ბავშვისთვის ქცევის მოტივაციური მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ თვითშეფასებასა და შეფასებას შორის კონფლიქტის დროს ქცევის წამყვან მოტივად თვითშეფასება იქცევა.

თვითშეფასება შეიძლება იყოს **ადეკვატური** და **არაადეკვატურად მაღალი ან დაბალი.**

**ადრეულ ასაკში ბავშვის თვითშეფასება უმთავრესად აიგება უფროსების, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლებისა და მშობლების მიერ მისი ქცევის შეფასების საფუძველზე.** ადეკვატური თვითშეფასება ბავშვს უყალიბდება მაშინ, როდესაც აღმზრდელები და პედაგოგები ადეკვატურად აფასებენ მის შესაძლებლობებს. ადეკვატური თვითშეფასება, თავის მხრივ, თვითრწმენის, თვითკრიტიკულობის, მომთხოვნელობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ბავშვი ბევრად უფრო დამოუკიდებელი ხდება საკუთარი შესაძლებლობების, საკუთარი პიროვნების შეფასებაში, მისი თვითშეფასება თავისუფლდება სხვათა მიერ შეფასებისგან, ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული თვითშეფასება ხშირად იმდენად მყარია, რომ

მისი შეცვლა ჭირს. საზოგადოდ, ცნობილია, რომ კორექცია საკმაოდ რთული პროცესია – გაცილებით იოლია ამა თუ იმ მახასიათებლის სწორად ჩამოყალიბება, ვიდრე არასწორად ჩამოყალიბებულის შეცვლა.

ნებისმიერი აღმზრდელი, პედაგოგი და მშობელი ორიენტირებული უნდა იყოს ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე. ეს ბუნებრივია, რადგან ასეთი თვითშეფასება მომავალში უამრავი სირთულის თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის განვითარების ხელშეწყობისა და მისი შესაძლებლობების სრული რეალიზების მიზნით უკეთესი იქნება, ვიზრუნოთ მასში ადეკვატურზე ოდნავ მაღალი თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე. ცნობილია, რომ ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის სასწავლო პროცესში უნდა ვიყენებდეთ ისეთ დავალებებს, რომლებიც ბავშვის შესაძლებლობებს ოდნავ აღემატება და რომელთა შესასრულებლადაც მას დამატებითი ძალისხმევა და შესაძლოა მცირე დახმარებაც დასჭირდეს. როდესაც ჩვენ რაიმე დავალებას ვკიდებთ ხელს, უპირველესად იმაზე ვფიქრობთ, მოგვცემს თუ არა ჩვენი შესაძლებლობები მისი შესრულების საშუალებას. ასეთ დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დავალების სირთულისა და თვითშეფასების შესაბამისობა. თუ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი შესაძლებლობები არ არის საკმარისი აღნიშნული დავალების შესასრულებლად, უარს ვამბობთ მასზე. ასევე იქცევა ბავშვიც. ამიტომ, თუ მას ადეკვატური თვითშეფასება ჩამოვუყალიბეთ, შესაძლოა, რთული დავალებების შესრულებაზე უარი განაცხადოს, მაშინ როდესაც ოდნავ მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვი უყოყმანოდ შეეჭიდება ასეთ დავალებას და გარკვეული ძალისხმევის წყალობით წარმატებასაც მიაღწევს, რაც მისი განვითარების წინა პირობად იქცევა. ამდენად, სასურველია, ბავშვთან ურთიერთობისას ორიენტირებული ვიყოთ ადეკვატურზე ოდნავ მაღალი თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე. არ დავიშუროთ საქებარი სიტყვები, როცა ბავშვი ამას იმსახურებს, აღვნიშნოთ მისი მიღწევები და გავუჩინოთ მას წარმატებულობის განცდა.“

**სრულად იხილეთ აქ:**
https://mastsavlebeli.ge/?p=2097

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, რომ ყოველი თავის ბოლოს დაგვემატებინა კითხვარი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეები თავიანთი ასაკის შესაფერისად შეაფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს (რა იცოდნენ და რა ისწავლეს ამ თავის გავლისას), მიზნად დაისახავენ ამა თუ იმ უნარის განვითარებას და დააკვირდებიან საკუთარ პროგრესს ამ პროცესში. ასეთი დავალებების შესრულება მათ მისცემს განვითარებისა და მეტის შემეცნების მოტივაციას.

***

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეული წიგნში ისე მჭიდროდაა ინტეგრირებული, რომ ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. ამას დაემატება თქვენი, პედაგოგების უნიკალური გამოცდილება და ვფიქრობთ, თითოეული გაკვეთილი დასამახსოვრებელი გამოგივათ.

**მოსწავლეებთან ერთად სასიამოვნო მოგზაურობას გისურვებთ ქართული ენისა და ლიტერატურის სამყაროში!**

# დამატებითი რესურსები

## რესურსი 1: მოსასმენი ტექსტები

### თავი პირველი

### 00 ურითმო ლექსი

მზე, ყვითელი ფორთოხალი,
მხიარულად დაგვყურებს მლაშე ზღვაში მოცურავეებს,
ხან კი ღრუბლებში იმალება
და დახუჭობანას გვეთამაშება.

### 01 გოგონა და ოქროს თევზი

მესამე ნაწილი

გოგონა თავს ევლებოდა თევზს და ისიც ყოველნაირად ცდილობდა, გაეხარებინა გოგონა. დაინახავდა თუ არა ოთახში შემოსულს, მაშინვე ლამაზად იწყებდა კუდისა და ფარფლების ქნევას, ჯერ წრეებს დაარტყამდა აკვარიუმში, მერე კი ამოხტებოდა და ჰაერში შეითამაშებდა.

ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. და ბედნიერები იყვნენ ამით.

ერთი მეტად საინტერესო რაღაც უნდა გითხრათ. ღამით მშობლები ტკბილ ძილს რომ უსურვებდნენ, შუბლზე აკოცებდნენ, სინათლეს ჩააქრობდნენ და გავიდოდნენ, გოგონა კიდევ დიდხანს არ იძინებდა. იწვა სიბნელეში და უცქერდა აკვარიუმს, სადაც დროდადრო ქუჩიდან შემოსულ შუქზე ოქროს თევზი გაიელვებდა ხოლმე. თან ჩუმად ჩურჩულებდა გოგონა: ვითომ თევზს ელაპარაკებოდა. აი, მე ამას ვეუბნები, ის კი ამას მპასუხობსო.

მერე კი, ქალაქის ხმაური რო მიწყდებოდა, გოგონა გაირინდებოდა. სიჩუმეში კვლავ ესმოდა ის საამო ხმა, რომელსაც ზღვაში შორს შესული უსმენდა ხოლმე. რა იყო ეს ხმა? გოგონა ამას არასდროს არავის გაუმხელდა, მაგრამ თვითონ კი ფიქრობდა, ოქროს თევზი მღერის  აკვარიუმშიო. ალბათ მაშინაც, ზღვის ზედაპირზე თვალდახუჭული რომ იწვა ხოლმე, ოქროს თევზი უვლიდა ირგვლივ და მღეროდა.

გაკვეთილებს რომ დაამზადებდა, გოგონა ჩართავდა ხოლმე მუსიკას და ცეკვავდა ოთახში. ამით უნდოდა, ოქროს თევზი გაერთო. ის ხომ სულ მარტო იყო

აკვარიუმში. მიცურდებოდა ოქროს თევზი აკვარიუმის კედელთან და უყურებდა გოგონას.

ერთხელაც ასე რომ ცეკვავდა, გოგონამ შეხედა კედელთან მიცურებულ თევზს, შეეცოდა და იფიქრა, მოდი, ასე უფრო გავახალისებო, აიღო აკვარიუმი, ორივე ხელით დაიდო თავზე და განაგრძო ცეკვა. მერე სასტუმრო ოთახში გავიდა ცეკვა-ცეკვით. დიდი სარკის წინ გაიქროლა კაბის ფრიალით და გაოცდა: ოქროს თევზიც ცეკვავდა. მხოლოდ ერთ წამს შედგა გოგონა. შემდეგ კი განაგრძო ცეკვა. თავზე აკვარიუმი ეჭირა და ოქროს თევზი ცეკვავდა აკვარიუმში.

მას შემდეგ ხშირად ცეკვავდნენ ასე. გამოეწყობოდა გოგონა კოხტად. დასვამდა თვის დედ-მამას. ჩართავდა მუსიკას. დაიდებდა თავზე აკვარიუმს და იწყებდა ცეკვას. აჰყვებოდა თევზიც. გახარებული უყურებდა დედ-მამა ამ უცნაურ სანახაობას.

კარგი იყო ძალიან. და რაც ყველაზე უფრო საოცარია: შეწყობილად ცეკვავდნენ გოგონა და ოქროს თევზი, ერთნაირად ირხეოდნენ, ერთნაირად ტრიალებდნენ და ოქროსფერი ფარფლებიც ცისფერი კაბის ფრიალს იმეორებდნენ ზუსტად

ამ ცეკვის შესახებ არც გოგონას და არც მის მშობლებს არავისთვის არაფერი უთქვამთ.

ეს მათი საოჯახო საიდუმლო იყო, პატარა, ლამაზი საიდუმლო.

## 02 გოგონა და ოქროს თევზი

### დასასრული

და უცებ მდინარის ზედაპირთან რაღაცამ იელვა. ამოფრინდა ოქროს თევზი, აფრინდა ფარანთან, მხიარულად შეითამაშა აკვარიუმში.

გული შეუფრთხიალდა ხალხს. უცქეროდნენ და კიდევ უფრო გაოცდნენ: გოგონას და მისი თევზის გარშემო საოცარი ცისფერი ნათება დაინახეს.

შემდეგაც მოენატრებოდა ხოლმე ოქროს თევზს ზღვა. კვლავ ელოდა გოგონა. მთვარიან ღამით ბრუნდებოდა თევზიც და კვლავ ანათებდნენ ცისფრად.

სიყვარულს საერთოდ ყველაფერი შეუძლია. ხოლო ნათება მთლად ჩვეულებრივი რამაა მისთვის...

# თავი მეორე

## 01 მილი-მოლი-მენდი შეჯიბრში მონაწილეობს

### პირველი ნაწილი

რთხელ მილი-მოლი-მენდი დედის თხოვნით საყიდლებზე წავიდა სოფლის მაღაზიაში და ბატონი ბლანტის მარცვლეულის მაღაზიაზე გაკრულ განცხადებას მოჰკრა თვალი. შეჩერდა და კითხვა დაიწყო. აღმოაჩინა, რომ სპორტულ მოედანზე ღონისძიება იმართებოდა: სპორტის მრავალ სახეობაში შეჯიბრება ბავშვებისათვის და სხვადასხვა გასართობი მოზრდილებისათვის. სანამ ბოლომდე წაიკითხავდა, ბილი ბლანტმა გამოყო თავი მაღაზიის ფანჯრიდან.

– გამარჯობა, ბილი! – მიესალმა მას მილი-მოლი-მენდი.

– გაგიმარჯოს, მილი-მოლი-მენდი! – უპასუხა ბიჭმაც. გარეთ გამოვიდა და ამოიკითხა: „ას იარდზე სირბილში შეჯიბრი“.

– ამაში უნდა მივიღო მონაწილეობა.

ორი დღის შემდეგ, როცა სკოლიდან მოსული მილი-მოლი-მენდი ჭიშკარზე ქანაობდა, თვალი მოჰკრა, როგორი მონდომებით მირბოდა ვიღაც შუა გზაზე, ეგონებოდათ, რაღაც სერიოზულ საქმეზე მიიჩქარისო. როგორ გგონიათ, ვინ იყო? – რა თქმა უნდა, ბილი ბლანტი.

–ბილი! საით მიიჩქარი? – ჰკითხა მილი-მოლი-მენდიმ.

ბილი ბლანტმა სვლა შეანელა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ქოშინით უპასუხა:

– სირბილში ვვარჯიშობ, შეჯიბრებისთვის. ვაპირებ, ყოველდღე ვირბინო ღონისძიებამდე. ჩემთვის დროს ხომ არ დაინიშნავდი, კარგია, როცა დარბიხარ და ვინმე წუთებს ითვლის.

მეორე დღეს ბილი ბლანტმა სტარტი აიღო თეთრი კოპწია სახლის გვერდით მდებარე მდელოს დასაწყისიდან, მილი-მოლი-მენდი კი მდელოს ბოლოში დადგა. ბილი ბლანტმა ხმამაღლა შესძახა და ადგილს მოსწყდა. ბიჭმა თითქმის წუთ-ნახევარში დაფარა მანძილი. თუმცა კიდევ რამდენჯერმე ხელახლა აიღო სტარტი, დროის შემცირება ვერა და ვერ მოახერხა.

მერე ბავშვებმა ფეხები ერთმანეთზე მიიკოჭეს: ბილი ბლანტი მარცხენა ფეხით მილი-მოლი-მენდის მარჯვენა ფეხზე კაშნეთი იყო მიბმული. მათ ახლა „სამი ფეხით“ დაიწყეს სირბილი. ეს ისეთი სახალისო იყო, რომ მილი-მოლი-მენდი სიცილისაგან კიოდა. თავს ძლივს იკავებდნენ, რომ არ დაცემულიყვნენ. მაგრამ ბილი ბლანტი წინდახედულად იქცეოდა და ცდილობდა, ყველაფერი სწორად გაეკეთებინა. თუმცა როცა წაიბორძიკებდნენ, ვერც ერთი ვერ იკავებდა სიცილს.

ბოლოს, ღონისძიების წინა დღეს, ბილი ბლანტს უკვე შეეძლო მდელო წუთზე ოდნავ მეტ დროში გადაერბინა, ხოლო „სამი ფეხით“ სირბილში ისე დახელოვნდნენ, რომ დიდი იმედი ჰქონდათ, პრიზსაც მოიპოვებდნენ.

ღონისძიების დღეს მშვენიერი დარი დადგა, ძალიანაც არ თბილოდა, მაგრამ, როგორც ბილი ბლანტი ამბობდა, ცოტა სიგრილე მისწრებაა სპორტული შეჯიბრებისთვის. რადგანაც უქმე დღე იყო, სოფელში თითქმის ყველამ მოიცალა მოსასვლელად. ისინი ჭიშკართან დადებულ ყუთში ექვსპენსიანებს ყრიდნენ, მერე დროშას ემთხვეოდნენ და ერთმანეთს ესალმებოდნენ.

მილი-მოლი-მენდი იქ მამასთან, დედასთან, პაპასთან, ბებიასთან, ძიასთან და ბიცოლასთან ერთად მივიდა. სუზანი კი დედასთან ერთად იყო. მათ ახლდათ ქალბატონი მაგინსის ძმისწული ჯილი, რადგანაც ქალბატონ მაგინსს ასეთი ღონისძიებები დიდად არ აინტერესებდა. ფოსტალიონი, ბატონი ჯეიკსი თავის ცოლთან ერთად მოსულიყო. მჭედელი რუჯი კი სადღესასწაულო კოსტიუმში გამოწყობილიყო.

ღონისძიებაზე ქოქოსის სამიზნეები დაედგათ (ძიამ მოიგო კიდეც ერთი ქოქოსი). ასევე, შორი მანძილიდან სასროლი რგოლებიც მოემარაგებინათ. უნდა გესროლა და მაგიდაზე დაწყობილ ნივთებზე წამოგეცვა (სამი სროლა ერთი პენსი ღირდა). დედამ ჯიბის სავარცხელი მოიგო, მაგრამ კიდევ სცადა, რადგან მაღვიძარას მოგება უნდოდა. ერთი სიტყვით, ღონისძიებაზე უამრავი გასართობი გახლდათ.

მოგვიანებით ბავშვთა სპორტული შეჯიბრებებიც დაიწყო. მილი-მოლი-მენდიმ პენსი გადაიხადა და შეეცადა, ძალიან ვიწრო ფიცარზე გაევლო, რომლის ბოლოშიც წითელი ბუშტი ეკიდა. ცოტაღა ჰქონდა დარჩენილი, რომ გადაყირავდა და საყ-

ოველთაო სიცილი დაიმსახურა (მერე ის ბუშტი ქალბატონი მაგინსის ძმისწულმა ჯილიმ მოიპოვა).

ამის შემდეგ დაიწყო რბოლა სამი ფეხით. რამდენიმე წყვილი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. სუზანი და ქალბატონი მაგინსის ძმისწული ჯილი მილი-მოლი-მენდისა და ბილი ბლანტს უნდა შესჯიბრებოდნენ. სხვა წყვილებიც ბლომად იყვნენ. ვიღაც კაცმა ისინი ერთმანეთს ფეხებით მიაბა და იყვირა: „აბა, დაიწყეთ!“

ისინიც დაიძრნენ. თან იცინოდნენ, თან ბარბაცებდნენ. მხოლოდ მილი-მოლი-მენდი და ბილი ბლანტი მიიწევდნენ ჯიუტად წინ, სანამ ფინიშის სვეტს არ მიაღწიეს! ხალხმა გამარჯვებული წყვილი სიცილითა და ტაშით დააჯილდოვა. ბილი ბლანტმა უცებ შეიხსნა თოკი ფეხიდან და გათავისუფლდა. მილი-მოლი-მენდიმ კი ორივეს მაგივრად წამოიღო მოგებული პრიზი...

# თავი მესამე

## 01 ოჯახი

ოჯახი მრავალნაირი არსებობს: ზოგან მხოლოდ მშობლები და შვილები, ზოგან პაპა-ბებიაც ცხოვრობენ, ზოგიერთ ოჯახში კი მხოლოდ ორი წევრია.

თუკი ოჯახში ბავშვები ცხოვრობს, იქ უფრო მხიარულებაა. მხიარულებას კი ხანდახან ფათერაკიც ახლავს თან.

როცა გიხარია ან გტკივა, ან როცა რაიმე შეგემთხვევა, ოჯახის წევრები ყოველთვის იზრუნებენ შენზე. როცა წარმატებას აღწევ, ახალს სწავლობ, საინტერესო თავგადასავალს ელოდები, ოჯახის წევრები პირველები გაიზიარებენ შენს სიხარულს.

- დაფიქრდი და გაიხსენე, როდის გიგრძვნია ყველაზე მეტად ოჯახის ერთობა: დღესასწაულებზე, ავადობისას, საერთო სუფრაზე, ფათერაკისას?
- ოჯახში მომზადებული რომელი საჭმელი გიყვარს ყველაზე მეტად? რეცეპტს ხომ ვერ გაგვიზიარებდი?
- რის გაკეთება გიყვართ ერთად ოჯახის წევრებს: სიმღერა, ჭამა, ცეკვა, ლაშქრობასა თუ მუზეუმებში სიარული, ფილმის ყურება?

## 02 როცა ემილი თავით საწვნეში გაეჩხირა

### მეორე ნაწილი

ექიმის მისაღებში უამრავი პაციენტი დახვდათ. მომლოდინეებმა თანაგრძნობით შეხედეს ბიჭს, თავის მაგივრად მხრებზე საწვნე რომ ედგა.

ექიმთან რომ შევიდნენ, ემილს მისი გაოცებული ხმა ჩაესმა:

– გამარჯობა, ვაჟკაცო! ასე ვის დამალვიხარ?

ემილი ექიმს ვერ ხედავდა, მაგრამ ხმა რომ გაიგონა, მისკენ მიბრუნდა, ფეხი ფეხს ისე მიარტყა, როგორც ასწავლიდნენ და თავაზიანად დახარა საწვნე.

გაისმა ზრიალი და შუაზე გამსკდარი საწვნე იატაკზე გაგორდა.

იკითხავ, რატომო? აი, რატომ: როცა ემილი ექიმს მიესალმა და თავაზიანად დახარა თავი, საწვნე მთელი ძალით დაჰკრა მაგიდის ძგიდეს. ეს იყო და ეს.

– დაიკარგა ჩემი ოთხი კრონა! – უჩურჩულა დამწუხრებულმა მამამ დედას.

ექიმმა გაიგონა მისი ნათქვამი:

– რას ბრძანებთ, ბატონო, პირიქით, თქვენ კრონა მოიგეთ. როცა ბავშვებს საწვნიდან ვაძრობ, ხუთ კრონას ვახდევინებ. თქვენმა ვაჟკაცმა კი ეს უჩემოდ მოახერხა.

მამა წამსვე გამხიარულდა. უფრო მეტიც, მადლიერი დარჩა ემილისა, საწვნე რომ გატეხა და კრონა იშოვა. მან იატაკიდან აიღო საწვნის ორივე ნახევარი და სამივენი – მამა, დედა და ემილი – კაბინეტიდან გამოვიდნენ.

ემილი რომ ჩვეულებრივი ბიჭი ყოფილიყო, იმ დღეს აღარაფერი შეემთხვეოდა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვეულებრივი არ იყო. აბა, მისმინე, რა ჩაიდინა: მონეტა არ დამეკარგოსო და ენის ქვეშ ამოიდო. ჰოდა, უცებ დედას და მამას რაღაც უცნაური ყაპყაპი მოესმათ – ემილს მონეტა ჩაეყლაპა.

– ვაი! – წამოიძახა ბიჭმა, – რა უცბად ჩასრიალდა.

ემილის დედას ძალიან შეეშინდა:

– ღმერთო ჩემო, როგორ ამოვაცალოთ ბიჭს მონეტა? ისევ ექიმთან უნდა დავბრუნდეთ!

სულ მალე სამივენი აქოშინებული შეცვივდნენ ექიმის კაბინეტში.

– რა მოხდა, რამე დაგრჩათ? – გაუკვირდა ექიმს.

– არა, ექიმო, ემილმა ხუთერეიანი მონეტა გადაყლაპა და ამიტომ დავბრუნდით, – აუხსნა მამამ, – პატარა ოპერაციას ხომ არ გაუკეთებთ? ასე ოთხკრონიანს. ის ხუთერეიანი მონეტაც თქვენ დაგრჩებათ.

ემილმა ზურგში წაუქიმუნჯა მამას და უჩურჩულა:

– არავისაც არ მივცემ! ჩემი მონეტაა!

ექიმს ემილისათვის მონეტის წართმევა, რა თქმა უნდა, არც უფიქრია. პირიქით, დედა და მამა დაამშვიდა, ოპერაცია საჭირო არ არის.

– კარგი იქნებოდა, ხუთიოდე ტკბილი ფუნთუშა შეგეჭამა, – მიუბრუნდა ექიმი ემილს, – მონეტას მარტოკას აღარ მოსწყინდებოდა და კუჭს აღარ გაგიკაწრავდა.

ძალიან კეთილი ექიმი იყო და არც რჩევისთვის აუღია ფული.

მამა დათანხმდა. წავიდნენ ფრეკენ ანდერსონის საფუნთუშეში და ემილს ხუთი მრგვალი, დაბრაწული, შაქრის პუდრმოყრილი ფუნთუშა უყიდეს. ემილი თან ფუნთუშებს ბუბნიდა, თან იმეორებდა:

– ასეთი გემრიელი წამალი ჩემს დღეში არ ჩამიყლაპავს!

## 03 პეპი წერილს იღებს

დღეები გადიოდა. დადგა შემოდგომა. შემოდგომას ზამთარი მოჰყვა; გრძელი, ცივი ზამთარი, რომლის დასრულებასაც პირი არ უჩანდა. ტომისა და ანიკას ბევრი სამეცადინო ჰქონდათ და ისე იღლებოდნენ, თანდათან სულ უფრო უჭირდათ დილით გაღვიძება. ფრუ სეტერგრენი ძალიან შეაშფოთა ბავშვების გაფერმკრთალებულმა სახეებმა და დაკარგულმა მადამ. ამ ყველაფერს დაერთო წითელა, რომლის გამოც და-ძმას რამდენიმე კვირით ლოგინში წოლა მოუწია. ეს რამდენიმე კვირა უაღრესად მოსაწყენი იქნებოდა, რომ არა პეპი. ის ყოველდღე მიდიოდა და

ფანჯრიდან უმართავდა მეგობრებს წარმოდგენებს, რადგანაც ექიმმა აუკრძალა ავადმყოფების ოთახში შესვლა, წითელა არ გადაგედოსო. პეპიც მორჩილად ასრულებდა ამ მითითებას, თუმცა სულ ამბობდა, ყოველ ნაშუადღევს წითელას ერთი-ორი მილიარდი ბაცილა ფრჩხილებით შემიძლია გავანადგუროო. ბავშვების ოთახი მეორე სართულზე იყო, ამიტომ პეპიმ ფანჯარას კიბე მიადგა. ტომი და ანიკა საწოლში იწვნენ და სულმოუთქმელად ელოდნენ მეგობრის გამოჩენას, თან ცდილობდნენ, გამოეცნოთ, ამჯერად რა ფორმაში გამოწყობილი გამოჩნდებაო. დიახ. პეპი ყოველდღე სხვადასხვანაირად ჩაცმული მოდიოდა: ხან ბუხრის მწმენდავს ჰგავდა, ხან მოჩვენებას, ხან კი – ალქაჯს. თეატრალურ წარმოდგენაში ყველა როლს თავადვე ასრულებდა. ხანდახან კიბეზე აკრობატულ ილეთებს იგონებდა: ბოლო საფეხურზე დადგებოდა და კიბეს აქეთ-იქით ისე აქანავებდა, ტომის და ანიკას გული უსკდებოდათ, აი, ახლა ნამდვილად ჩამოვარდებაო. მაგრამ პეპი ერთხელაც არ ჩამოვარდნილა! კიბიდან აუცილებლად თავდაყირა მდგარი ჩადიოდა.

ყოველდღე ყიდულობდა ქალაქში ვაშლს, ფორთოხალსა და  კანფეტებს. ამ ყველაფერს კალათში აწყობდა, კალათს კი თოკს აბამდა. ბატონი ნილსონი მაღლა აცოცდებოდა და თოკის ერთი ბოლო აჰქონდა, რომელსაც ტომი ართმევდა და კალათს ზემოთ სწევდა. იშვიათად, როდესაც პეპი მეგობრებთან მისვლას ვერ ახერხებდა, კალათში წერილს დებდა. ისე კი მთელ დღეებს კიბის საფეხურებზე ატარებდა. ხანდახან პეპი ფანჯრის მინაზე სახეს მიაჭყლეტდა, თვალებს ამოატრიალებდა, საშინელ სახეს იღებდა და და-ძმას ეუბნებოდა, ოქროს მონეტას მოგცემთ, თუ სიცილს შეიკავებთო. სიცილის შეკავება შეუძლებელი იყო – ბავშვები ისე ხარხარებდნენ, ლამის საწოლებიდან გადმოცვენილიყვნენ.

ამასობაში გამოჯანმრთელდნენ კიდეც. მაგრამ უნდა გენახა, რა ფერმკრთალები და გალეულები იყვნენ! იმ დღეს, ლოგინიდან რომ ადგნენ, პეპიც მათთან ერთად იჯდა სამზარეულოში და უყურებდა, როგორ ცდილობდნენ ფაფა შეეჭამათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ფრუ სეტერგრენი შეშფოთებული ადევნებდა თვალს, როგორ ურევდნენ ტომი და ანიკა კოვზებს ფაფაში, და წარამარა უმეორებდა:

– გემრიელი ფაფაა, ჭამეთ!

პეპიმ თავი გადახარა და ტომის და ანიკას თეფშები შეათვალიერა:

– როგორც გითხარით, ცოტა ხნით ზღვაზე ყოფნა გჭირდებათ და უმადობისგან განიკურნებით.

ზუსტად ამ დროს სეტერგრენების სახლთან ფოსტალიონმა ჩამოიარა. ფანჯარაში პეპი რომ დაინახა, დაუძახა:

– წერილია პეპი გრძელწინდას სახელზე!

პეპის ისე გაუკვირდა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა:

– წერილი?! ჩემს სახელზე?! ნამდილი წირილი, უფრო სწორად, ნამდვილი წერილი?! თუ საკუთარი თვალით არ ვნახე, ვერ დავიჯერებ.

დიახ, ეს იყო უცნაური მარკებით აჭრელებული ნამდვილი წერილი.

– ტომი, შენ წამიკითხე რა, კითხვაში შენ ხარ მაგარი, – სთხოვა პეპიმ.

ტომიმ წაიკითხა...

# თავი მეოთხე

## 01 რა გვაბედნიერებს? – ამბები სიკეთესა და სიყვარულზე

ზამთრის დღესასწაულები განსაკუთრებით ჯადოსნურია. ამ დროს დიდიც და პატარაც მხიარული და ბედნიერია...

გიფიქრია, რომ რაც შენ გახარებს და გაბედნიერებს, სხვებს შეიძლება ცრემლებს ჰგვრიდეს, აშინებდეს და სიცოცხლესაც კი უსპობდეს? შენ უკვე დიდი ხარ. მნიშვნელოვანია, რომ, მხოლოდ საკუთარ თავზე არ დარდობდე და გვერდით მყოფ არსებებზეც იზრუნო. შენ სუპერგმირი ხარ, შენ სხვების გადარჩენა შეგიძლია. ეს თავი დაგაფიქრებს და გიჩვენებს, რა შეგიძლია გააკეთო, სუსხიანი და ცივი ზამთრის გასათბობად და სიკეთის გასამარჯვებლად.

დაე, ყველასთვის ციმციმებდეს ცისკრის ვარსკვლავი!

## 02 წიქარა

### მეორე ნაწილი

ერთხელ ერთმა დედაბერმა სალამურის ხმა გაიგონა. ძალიან მოეწონა, ხმას მიჰყვა და ალვის ხეს მიადგა.

შურით აღვსილმა დედაბერმა ყველა ღონე იხმარა, რომ სალამური ხელში ჩაეგდო; ხელმწიფესთან მივიდა და ბიჭსა და მის სალხინო სალამურზე უამბო.

– სასწრაფოდ აქ მომგვარეთ! – ბრძანა ხელმწიფემ.

ცბიერი დედაბერი ალვის ხესთან დაბრუნდა, სალამურას თავი შეაცოდა და დახმარება სთხოვა.

კეთილმა ბიჭმა დახმარებაზე უარი ვერ უთხრა. მიწაზე ჩამოსული კი მოხუცმა ჯადოთი გააბრუა და დააძინა. მძინარე ბიჭი იქვე ჩასაფრებულმა ხელმწიფის ვეზირებმა შეიპყრეს და წაიყვანეს.

ბიჭი გონს რომ მოვიდა, უკვე ცხრაკლიტულში იყო გამომწყვდეული. დაღონდა.

– ეჰ, ნეტავ სალამურები ალვის ხეზე არ დამრჩენოდა, – თქვა დანანებით, – დავუკრავდი და წიქარა უმალ აქ გაჩნდებოდა!

ამ დროს ცხრაკლიტულთან მერცხალმა ჩამოიფრინა.

– მერცხალო, მერცხალო, ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და, გთხოვ, მომიტანე, – შეევედრა ბიჭი.

შეეცოდა მერცხალს ტუსაღი, გაფრინდა და მოუტანა სალამურები. ბიჭმაც მაშინვე ჩაჰბერა საჭირვარამო სალამურს.

წიქარამ გაიგონა თუ არა გულსაკლავი ხმა, მაშინვე მეგობრისკენ გაეშურა. გაშმაგებული ცხრაკლიტულს ეცა და რქებით კარების მტვრევა დაიწყო.

რვა კარი შეამტვრია, მაგრამ მეცხრეს რომ მიადგა, ცალი რქა მოსტყდა! დაღონდა წიქარა, თავისი რქა იმდენად არ ედარდებოდა, რამდენადაც მეგობრის ტყვეობა. უცბად, საიდანღაც ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას ჰკითხა:

– რქა რომ ამოგიყვანო, შენს ხორცს მაჭმევ?

– გაჭმევ, – უყოყმანოდ დასთანხმდა წიქარა.

თაგვმა ჯადოსნური სამყურა ბალახი დაადო და რქა ამოუყვანა.

ეცა წიქარა მეცხრე კარსაც და შელეწა ისიც. შევიდა ბიჭთან, სწრაფად შეისვა ზურგზე და საპყრობილიდან გამოიყვანა.

სამშვიდობოს რომ გავიდნენ, თაგვიც იქვე გაჩნდა და წიქარას პირობა შეახსენა. ამის გაგონებაზე ბიჭი ატირდა და თაგვს შეევედრა:

– ოღონდ ჩემს მეგობარს სიცოცხლეს ნუ წაართმევ და სანაცვლოდ ჩემი წაიღე.

– თქვენნაირი თავდადებული მეგობრები არასდროს მინახავს, – გაოცდა თაგვი, – ამიტომ ჩემი პირობა შეგიძლიათ დაივიწყოთ, – თქვა და მაშინვე გაქრა.

წიქარა და ბიჭი კი წავიდნენ იქ, სადაც არც ბოროტი დედინაცვალი იყო და არც კუდიანი დედაბერი. მოძებნეს ყველაზე მაღალი ალვის ხე, რომელზეც ბიჭი თავის სალამურებიანად დასახლდა. წიქარა კი ისევ მინდვრად წავიდა.

როცა მეგობარი მოენატრებოდა, ჩაჰბერავდა ბიჭი სალამურს, გააგონებდა ხმას წიქარას და ისიც მაშინვე ალვის ხესთან ჩნდებოდა.

ჭირი – იქა, ლხინი – აქა,
ქატო – იქა, ფქვილი – აქა.

## თავი მეოთხე

### 03 შობას მშვენივრად ვერთობით

#### პირველი ნაწილი

ერთხელ იუნასმა მკითხა:

– ყველაზე მეტად რა გიყვარს, მზე, მთვარე თუ ვარსკვლავები?

მე ვუპასუხე, რომ ძალიან მომწონს მზეც და მთვარეც, მაგრამ მოციმციმე ვარსკვლავები მაინც ოდნავ, სულ ოდნავ უფრო მეტად მიყვარს. განსაკუთრებით ლამაზად შობას ციმციმებენ, როცა ცისკრის ლოცვაზე მივდივართ! შობა კი ჩემი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია.

წელს საშობაოდ თხილამურები ვინატრე და ძალიან ვნერვიულობდი, ვაითუ თოვლი არ მოვიდეს-მეთქი. ლოტაც მოუთმენლად ელოდა თოვლს, რადგან ის საშობაო საჩუქრად ციგას ნატრობდა.

ერთ საღამოსაც, როცა დასაძინებლად დავწექით, ლოტამ გადმომილაპარაკა:

– თოვლის პაპას საშობაოდ ციგის ჩუქება ვთხოვე, ახლა კი ღმერთს ვთხოვ, თოვლი მოვიდეს, თორემ, აბა, ისე ციგა რაში მარგია!

წარმოიდგინეთ, მეორე დილას, როცა გავიღვიძეთ, თოვდა!

მე, იუნასი და ლოტა პიჟამებში გამოწყობილები ვიდექით ფანჯარასთან და ვუყურებდით, როგორ იფარებოდა ჩვენი ბაღი ფუმფულა, ქათქათა თოვლით. შემდეგ ჩქარ-ჩქარა ჩავიცვით და გარეთ გავცვივდით, ბევრი ვიგუნდავეთ და ძალიან ლამაზი თოვლის კაციც გავაკეთეთ. საღამოს, როცა მამა დაბრუნდა შინ, თოვლის კაცს თავისი ქუდი დაახურა თავზე.

მშვენივრად გავერთეთ და ვიმხიარულეთ. დედაც კმაყოფილი იყო, რომ ეზოში ვთამაშობდით და ხელს არ ვუშლიდით. ფრუ ფრანსონი იყო მოსული და დედას სახლის საშობაოდ საგულდაგულოდ დალაგებაში ეხმარებოდა. ლოტას ძალიან

უყვარს ფრუ ფრანსონთან ლაქლაქი, ოღონდ მას ყოველთვის „შენობით“ მიმართავს. დედამ უკვე ათასჯერ მაინც გააფრთხილა, „თქვენობით“ უნდა ელაპარაკო და „ფრუ ფრანსონი“ დაუძახოო, მაგრამ ამაოდ.

ფრუ ფრანსონსაც უყვარს ლოტასთან ლაპარაკი, მაგრამ დედამ სთხოვა, არ ეპასუხა ლოტასთვის, როცა იგი „შენობით“ მიმართავდა.

იმ დილით, მას მერე, რაც თოვლის კაცი გავაკეთეთ, სასაუზმოდ დავსხედით და ლოტამ ფრუ ფრანსონს მიმართა:

– ნახე ჩემი ხელთათმანები როგორი სველია!

ფრუ ფრანსონმა არ უპასუხა.

– ჩვენი თოვლის კაცი ნახე? – ისევ ჰკითხა ლოტამ.

ფრუ ფრანსონმა არც ამჯერად გასცა ხმა. მაშინ ლოტაც გაჩუმდა, თუმცა, ცოტა ხანში ვერ მოითმინა და ისევ იკითხა:

– ვერ გამიგია, რამ გაგაბრაზა, ფრუ ფრანსონ?!

დედამ მკაცრად გადახედა ლოტას:

– ლოტა, ხომ გაგაფრთხილე, რომ ფრუ ფრანსონს „შენობით“ არ უნდა ელაპარაკო;

– მაშინ საერთოდ ვერ დაველაპარაკები ფრუ ფრანსონს, – დაასკვნა ლოტამ.

ფრუ ფრანსონს კი ძალიან უყვარდა ლოტასთან საუბარი, ამიტომ დედას სთხოვა, ლოტასთვის ნება მიეცა, მას „შენობით“ დალაპარაკებოდა. დედას გაეცინა და დასთანხმდა.

კმაყოფილმ ლოტამ გამოაცხადა:

- რა სახალისოა, შობა რომ მოდის!

მართლაც, ძალიან სახალისოა! მე, იუნასი და ლოტა დედას მივეხმარეთ საშობაო გირლანდების ჩამოკიდებაში, პარმაღიდან თოვლი გადავხვეტეთ და პარმაღზე საკენკიანი ტოპრაკი ჩამოვკიდეთ ჩიტებისთვის. დედამ შეგვაქო:

– ყოჩაღი ბავშვები ხართ. არც კი ვიცი, უთქვენოდ როგორ გავართმევდი თავს ამდენ საქმეს!

## შობას მშვენივრად ვერთობით

### მეორე ნაწილი

საშობაო საჩუქრებზე ზრუნვაც ძალიან სასიამოვნოა. საშობაოდ ყულაბებიდან ვიღებთ ფულს, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვაგროვებთ და ქალაქში მივდივართ. ძალიან სახალისოა საშობაო საჩუქრების ყიდვა, როცა თოვს, მოედანზე გასაყიდად ბევრი ლამაზი და კოხტა ნაძვის ხეა გამოტანილი, ხალხი კი მაღაზიებში დარბის. მე და იუნასს გვინდოდა ლოტასთვის ისეთი თოჯინა გვეყიდა, რომელსაც ბანაობის დროს აბაზანაში ჩაისვამდა. ჰოდა, ვთხოვეთ ლოტას, სათამაშოების მაღაზიის წინ, ქუჩაში დაგვლოდებოდა.

– ოღონდ, იცოდე შემოხედვა არ გაბედო! – გააფრთხილა იუნასმა.

– კარლმანის საკონდიტროს ვიტრინაში შეიხედე, – ვურჩიე მე, – იქ უფრო საინტერესოა!

ლოტა სიამოვნებით დამთანხმდა. საკონდიტროს ვიტრინაში მართლაც უამრავი საინტერესო და გემრიელი რამ ეწყო, მაგალითად, მარციპანის გოჭები და ხბოები.

როცა მე და იუნასი სათამაშოების მაღაზიიდან გამოვედით, ლოტაც სწორედ იმწამს გამოვიდა საკონდიტროდან.

– რა გინდოდა საკონდიტროში? – დაინტერესდა იუნასი.

– საშობაო საჩუქარი გიყიდე, – უპასუხა ლოტამ.

– რა მიყიდე? – ჩაეკითხა იუნასი.

– ნამცხვარი ათქვეფილი ნაღებით.

– უჰ, რა სულელი გოგო ხარ, – თავი გადააქნია იუნასმა, – შობამდე ხომ გაფუჭდება ნამცხვარი!

– აღარ გაფუჭდება, – დაამშვიდა ლოტამ, – მეც მაგის შემეშინდა და ამიტომაც უკვე შევჭამე.

ზუსტად ამ დროს ქუჩაში მამა დავინახეთ. მამამ არ იცოდა, რომ ჩვენ ქალაქში ვიყავით საშობაო საჩუქრების საყიდლად.

– ეს საყვარელი ბავშვები ნამდვილად სადღაც მინახავს, – ღიმილით შეგვათვალიერა მამამ, – მაგრამ ზუსტად ვერ ვიხსენებ, სად! თუმცა, ისეთი საყვარლები არიან, რომ ავდგები და ნამცხვარზე დავპატიჟებ.

ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ გაგვიხარდა! ვისხედით საკონდიტროში, რბილ მწვანე სავარძლებზე, ვსვამდით ცხელ შოკოლადს და მივირთმევდით გემრიელ ნამცხვრებს. მამამ ნება დაგვრთო იმდენი ნამცხვარი გვეჭამა, რამდენიც გაგვიხარდებოდა. ჩვენ გარშემო ხალხი ირეოდა. ყველას შეფუთული საჩუქარი ეჭირა და ერთმანეთს უყვებოდნენ, ვინ, რა და სად იყიდა. ჩვენ კი, მყუდროდ მოკალათებულები, მივირთმევდით ნამცხვრებს ფაფუკი და ტკბილი, ათქვეფილი ნაღებით და საკონდიტროს ფანჯრიდან ვუყურებდით, გარეთ როგორ ბარდნიდა.

## 05 თქმულება ნაძვის ხეზე

ამბობენ, იესო რომ დაიბადა, ყველა ხე მივიდა მასთან და დაბადების დღე მიულოცა. მათ საჩუქრებიც მიუტანეს: ვაშლის ხემ – ვაშლი, კაკლის ხემ – კაკალი, ატმის ხემ – ატამი...

ნაძვის ხე კი იდგა შორიახლოს და ადგილიდან არ იძვროდა, ჩუმად ტიროდა. მისი ტოტებიდან წებოვანი სითხე გადმოდიოდა, ეს ნაძვის ცრემლები იყო...

– რატომ არ მიდიხარ იესოსთან მისალოცად? – ჰკითხეს მას სხვა ხეებმა.

– მე ხომ ჩხვლეტია წიწვები მაქვს, მეშინია, ყრმას რაიმე არ ვატკინო, – უპასუხა ნაძვის ხემ.

– რა კეთილი ხე ყოფილხარ! – აღფრთოვანდა ყველა.

გადმოცემის თანახმად, ამის გამო ღმერთმა დაასაჩუქრა ნაძვი. მისი გირჩები სხვადასხვაფრად შეღება, მორთო ტკბილეულითა და ფერად-ფერადი სათამაშოებით, ცას ვარსკვლავი მოსწყვიტა და გვირგვინად დაადგა. მას შემდეგ ამ ვარსკვლავს „შობის ვარსკვლავს“ უწოდებდნენ და ნაძვის ხესაც სულ რთავენ.

# თავი მეხუთე

## 01 ყინვა და პატარა მოწაფე

### პირველი ნაწილი

თოვლით დაფენილს ტრიალს მინდორსა
თითქო ღრმა ძილით ჩასძინებოდა
და ხშირსა ტყესა, ჩადრწამოსხმულსა,
სახე სრულიად გაშეშებოდა.

არსაიდანა არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი,
ირგვლივ ცის კიდით კიდემდისინა
იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი.

და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ყინვა თანდათან ძლიერდებოდა;
ხან ალმა მთებზე და ხან ჩამოღმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა.

დაბრძანდებოდა და თანაც თვალსა
არ აშორებდა გატკეპნილ გზასა,
უნდოდა, ძალა გამოეჩინა.
წინ დაჰხვედროდა მომავალს მგზავრსა.
აგერა კიდეც გზაზედ გამოჩნდა
ბავშვი წიგნებით იღლიაშია!
ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის სკოლაშია.

ყინვამ მაშინვე მისკენ მიჰმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
„ბავშვო, სულელო“, მსწრაფლ მიაძახა,
გირჩევ, ეხლავე დაბრუნდე შინა.

„ჩემთან კერპობა შენ ვერ გაგივა,
მალე გეცვლება წითელი ფერი,
იცოდე, შენზე დიდებისათვის
მომიგრეხია მწარედ კისერი“.

## 02 ძვირფასი ყუთი

### პასუხი

ზოგმა ეს თქვა, ზოგმა – ის; ბოლოს თვითონ ალექსანდრემ განაცხადა, რომ შიგ ჩადებდა და შეინახავდა წიგნს – „ილიადას". ამ ამბავს მოგვითხრობს ძველი დროის ბევრი მწერალი. მათი მონათხრობით ვიგებთ, რომ „ილიადას" ავტორი – ჰომეროსი, მაკედონელთა მთავარსარდლისათვის განსაკუთრებით ძვირფასი პოეტი იყო.

# თავი მეექვსე

## 01 ჩხიკვთა ქორწილი

### მეორე ნაწილი

თამადად მოძღვარი თომა ამოირჩიეს. ლხინი გაჩაღდა. ფრინველებმა სუფრული შემოსძახეს. მალე სიმღერა ისე გაძლიერდა, რომ ტყეს ჭახჭახი გაჰქონდა. შორიახლოს ერთ თაგუნას ჰქონდა სორო. ხმაურობაზე გამოიხედა სოროდან გარეთ. დიდხანს უცქირა ფრინველთა ლხინს, ითმინა დიდხანს და ველარ მოითმინა: რაც მომივა მომივაო, თქვა; მიცუნცულდა ახლოს, ისკუპა და პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიან სუფრაზე დასკუპდა.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! გაუმარჯოს წრუწუნას! – გაისმა ფრინველთა საერთო ხმა.

– ღვინო მიართვით წრუწუნას, ღვინო, – დაიძახა თამადამ.

– ღვინოს არ გიახლებით, გენაცვალეთ, თხილი კი ჩემი თვალის სინათლესაც მირჩევნია, თქვენ გაატარეთ დრო; მე თხილს ვაკნაწუნებ, არაფერი მიშავს. კოდალამ დასტაცა ცალი ხელი წრუწუნას კისერში, მეორე ხელით პირთან მიუტანა ღვინით სავსე ყანწი და ძალათი შეასვა. თაგვმა წვალებით ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი; თან წრუწუნებდა, ეტყობოდა, რომ არ სიამოვნებდა.

– გაბედე, წრუწუნავ, გაბედე! აბა, ჰა! ყოჩაღ, ბიჭო! – დაჰკიჟინებდნენ თაგუნას ფრინველები. წრუწუნას მალე მოეკიდა ღვინო და სიმღერა შემოსძახა. ისე მღეროდა, რომ წრიპინით ყველას ყურები გამოუჭედა. მერე ცეკვაც დაიწყო. ხალხს სიცილით ხოცავდა. მას კაჭკაჭიც აჰყვა და დავლურს უვლიდნენ ორივენი. ყვავილებს მუცლები ხელით ეჭირათ, იმდენს იცინოდნენ ამ სურათის მნახველნი.

# თავი მეშვიდე

## 01 ამპარტავანი ნოტი სი

### მეორე ნაწილი

ნოტი სი ისე მოხერხებულად შეძვრა თვალისმომჭრელად მბზინავ ვალტორნის ღრუში და ისე ეშმაკურად მიიმალა კუთხეში, რომ ვალტორნის ნოტებმა ვერაფერი შეამჩნიეს. ამ დროს კონფერანსიე გოგონამ მაყურებელთა დარბაზს აცნობა, ბავშვთა სასულე ორკესტრს მოუსმინეთო. ორკესტრის წევრებმა თავიანთი საკრავები მოიმარჯვეს და სცენაზე განლაგდნენ.

ფარდა გაიხსნა. მაყურებლები ტაშით შეეგებნენ პატარა დირიჟორს, მან ჯოხი აიქნია და კონცერტიც დაიწყო. ერთ ხანს სულგანაბული ისმენდა დარბაზი სასულე ორკესტრის ჰანგებს. მაგრამ უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, ვალტორნამ ისეთი წრიპინა ხმა ამოუშვა, რომ მაყურებლები ახარხარდნენ და დარბაზი გუგუნმა გააყრუა. გაოგნებული პატარა დირიჟორი ჯერ გაწითლდა, მერე თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა... ფარდა დაიხურა.

ვალტორნის შეცბუნებულმა ნოტებმა მაშინვე შეამჩნიეს მათი საჯაროდ შემარცხვენელი, ბნელ კუნჭულში შიშისაგან აკანკალებული ნოტი სი.

– ეს იყო, ეს იყო!

– საიდან ჩამოფრინდა?

– ნეტა ვინ არის?

– ვიცნობ, ვიცნობ, – თქვა ვალტორნის ერთ-ერთმა მკვიდრმა, – ეს ხომ სალამურის ნოტია.

– მერე, ჩემო ძმაო და კეთილო, აქ ვინ მოგიპატიჟა, სალამურისთვისაც გიღალატია და ჩვენც ხომ აგვირიე საქმე. აქედან დაიკარგე, თუ თავი არ მოგძულებია!

ვალტორნის ნოტებმა კინწისკვრით გამოაგდეს სი. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ნოტი სი, ყველასგან შეუმჩნევლად ახლა ფლეიტაში შეძვრა და იქ გაისუსა.

კონცერტი განახლდა, მაგრამ ვაი, ასეთ განახლებას: არ გაუვლია ერთ წუთსაც, რომ ახლა ფლეიტამ დაიწყო ისე ყურისწამლებად წრიპინი, რომ მაყურებლებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და ახმაურდნენ. პატარა დირიჟორმა სირცხვილისაგან არ იცოდა რა ექნა. ამ დროს კი ფლეიტის ნოტებს პატიმარივით შეეპყრათ აბეზარი ნოტი სი და გარეთ მიჰყავდათ.

ვინ აღწერს, რა დღეში და რა ყოფაში იყო პატარა მწყემსი. ორკესტრის შემდეგ ის უნდა გამოსულიყო სცენაზე, სალამური კი აღარ უკრავდა, ერთი თვალი გაუქმებულიყო და ხმას აღარ გამოსცემდა. განცვიფრებული და დამწუხრებული მწყემსი თავში ხელებს იცემდა, ეს რა დამემართაო, არასოდეს ჩემს სალამურს არ უღალატია და რაღა მაინცდამაინც ახლა მიმუხთლაო.

კონფერანსიე გოგონამ ფრთხილად აიღო ხელში სალამური და ჩაჰბერა, ნეტავ რა დაემართაო! ჩაჰბერა და ჰოი, საკვირველებავ! სალამურის შვიდივე თვალმა ხმა ამოიღო. მეშვიდე ნოტი სიც ამღერდა ძველებური ეშხით. გახარებულ მწყემსს იმის დროც აღარ ჰქონდა ეფიქრა, ეს ყველაფერი როგორ მოხდაო, დაავლო ხელი სალამურს და სცენაზე გავარდა. თურმე ნუ იტყვით, ფლეიტის ნოტებმა მანამ არ მოაცილეს თვალი სის, სანამ უკანვე სალამურში არ ჩაბრუნდა.

იმ საღამოს დარბაზი ტაშით დაანგრიეს მაყურებლებმა სალამურის მომხიბვლელი ჰანგების გამო. გატაცებით უკრავდა პატარა მწყემსი და თვალწინ ედგა თავისი ლამაზი სოფელი, იალაღზე გაშლილი ფარა. ჰოდა, აბა, მითხარით, ეს ამპარტავნობა რომ არ გამოეჩინა ნოტ სის, რომ სცოდნოდა, ყოველი ნოტი მხოლოდ თავის ადგილზეა ლამაზი და ტკბილხმოვანი, ხომ არ შეარცხვენდა ბავშვთა სასულე ორკესტრს?! და რომ არ დაბრუნებოდა თავის მშობლიურ სალამურს, ხომ ვეღარ მოხიბლავდა პატარა მწყემსი ამდენ ხალხს?!

## ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ 2: ასოების წერა ახალ ბადეზე

ა ა ა ა ა

ბ ბ ბ

გ გ გ

დ დ დ დ დ

ე ე ე ე ე

ვ ვ ვ ვ ვ

ზ ზ ზ ზ ზ

თ თ თ თ თ

ი ი ი ი ი

კ კ კ კ კ

ლ ლ ლ ლ ლ

მ მ მ მ მ

ნ ნ ნ ნ

ო ო ო

პ პ პ პ

ჟ ჟ ჟ ჟ

რ რ რ რ

ს ს ს ს ს

ტ ტ ტ ტ

უ უ უ უ უ

ფ ფ ფ ფ ფ

ქ ქ ქ ქ ქ

ღ ღ ღ ღ ღ

ყ ყ ყ ყ ყ

შ შ შ შ შ

ჩ ჩ ჩ ჩ ჩ

ც ც ც ც ც

ძ ძ ძ ძ ძ

წ წ წ წ

ჭ ჭ ჭ ჭ ჭ

ხ ხ ხ ხ

ჯ ჯ ჯ ჯ

ჰ ჰ ჰ ჰ ჰ

## რესურსი 3: დამატებითი საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო ჩამონათვალი

1. ოცნებები, ოცნებები
   **რჩეული საბავშვო მოთხრობები** – რევაზ ინანიშვილი
   **ელისა და რარუს თავგადასავალი** – გურამ პეტრიაშვილი
   **პატარა ქალაქის ზღაპრები** – გურამ პეტრიაშვილი
   **მოკლე კატოს თავგადასავალი** – ზაირა არსენიშვილი

2. რატომ გვიყვარს თამაში
   **ემილის თავგადასავალი** – ასტრიდ ლინდგრენი

3. ოჯახი
   **პიტერ პენი** – ჯეიმს მეთიუ ბარი;
   **ატუსა და მატუსა** – ლელა ცუცქირიძე;
   **ლოტა აურზაურის ქუჩიდან** – ასტრიდ ლინდგრენი;
   **დედა, მამა, რვა ბავშვი სდა საბარგო მანქანა** – ანე-კატარინე ვესტლი;
   **დიდედას სახელობის გზა** – ანე-კატარინე ვესტლი;
   **ანტონის პატარა საჩუქარი** – ანე კატარინე ვესტლი;
   **მარტა და დიდედა, დიდედა და მორტენი** – ანე-კატარინე ვესტლი;
   **მხიარული ოჯახი და სხვებიც** – ლელა ცუცქირიძე;
   **პინოკიოს თავგადასავალი** – კარლო კოლოდი.

4. რა გვაბედნიერებს?
   **მოლი ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი** – გია პაპუაშვილი;
   **ლოტა აურზაურის ქუჩიდან** – ასტრიდ ლინდგრენი.

5. სწავლა
   **ბურატინოს თავგადასავალი** – ალექსეი ტოლსტოი;
   **პეპი გრძელწინდა** – ასტრიდ ლინდგრენი.

6. ბუნება და ადამიანი
   **ექიმ დულიტლის თავგადასავალი** – ჰიუ ლოფტინგი;
   **ჩიპოლინოს თავგადასავალი** – ჯანი როდარი;
   **შეუდარებელი ბატონი მელია** – როალდ დალი.

7. სამშობლო
   **ბიბო და სხვა მოთხრობები** – რევაზ ინანიშვილი;
   **უშიშა პაპას ზღაპარი** – რევაზ ინანიშვილი.

## რესურსი 4: ახალი ლექსიკური ერთეულის დამუშავების სტრატეგიები (სქემები)

**ა. სიტყვის პირამიდა**



## ბ. სიტყვის/ცნების რუკა



## გ. სიტყვების რუკა

საკუთარი განმარტება

მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები

სიტყვა ან ტერმინი

კონტექსტის მიხედვით მნიშვნელობა

ილუსტრაცია

## დ. სიტყვის აბლაბუდა

**ინსტრუქცია**

1. ჩაწერე ახალი სიტყვა შუა  რგოლში.
2. ჩაწერე შეკითხვებზე პასუხი შესაბამის რგოლებში.
3. განაგრძე კითხვა და მიამატე ახალი ინფორმაცია.
4. ჩაწერე, შენი აზრით, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

რას წარმოვიდგენ, როცა ამ სიტყვას ვკითხულობ?

როგორ არის ეს სიტყვა გამოყენებული ტექსტში?

ახალი სიტყვა

რას მახსენებს ეს სიტყვა?

ხომ არ მეცნობა ამ სიტყვის რომელიმე ნაწილი?

**გააგრძელე ფიქრი**

ჩემი აზრით, ეს სიტყვა ნიშნავს ...

## ე. გააცოცხლე წარმოსახვა

**ინსტრუქცია**

1. ჩაწერე სქემის შუაგულში სიტყვა, ფრაზა ანდა წინადადება ტექსტიდან.
2. წარმოისახე და ჩაწერე შენი შეგრძნებები სქემის შესაბამის ნაწილში.



## რესურსი 5: თხრობის რუკა



## რესურსი 6: ვენის დიაგრამა

